პროლეტარებო ყველა ქვეყნის, შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
ტელეფონი 10—49

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივნის 10—58

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ—65 კ., დანარჩენებისათვის ქალაქში—33 კ., ქალაქს გარეშე—95 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს". განცხადებები: ხომპარელის სტრიქონი—20 კ. აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო 5 მან. დოკუმენტების დაკარგვა—50 კაპ. განცხადებები მიიღება 3 საათამდე.

ექსპედიციის ტელეფ. 5—43

პარასკევი, 21 ნოემბერი 1924 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კ. № 266 (1121)

100

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

— გადადგენ ავსტრიის და პორტუგალიის მთავრობები.
— ბერლინში გრძელდება რკინისგზელთა გაფიცვა.
— ჩინეთში მწვავდება დამოკიდებულება სხვადასხვა ჯგუფებს შორის.
— ლატვიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში მოხდა განხეთქილება.
— ესტონეთში გრძელდება 149 კომუნისტის პროცესი.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი
წინადადებას იძლევა დღეს, 21 ნოემბერს
ერთიან პარტიულ დღეს
წამოყენებული იქნეს საკითხი
პროლეტარულ სასამართლოზე და სახალხო მოსამართლეების გამოყოფაზე
როგორც მასალა, გამოყენებული უნდა იქნას გაზეთებში მოთავსებული თეზისები.

თბილ. კომიტეტის მდივანი რუბენი.

პროფმოძრაობის მთლიანობისათვის

ეხლა დამთავრებული სრულიად-საკავშირო პროფორგანიზაციების ყრილობა დიდი ისტორიული მნიშვნელობის ყრილობად უნდა ჩაითვალოს. ასეთია იგი პირველ ყოვლისა და უმთავრესად იმით, რომ იქ პრაქტიკულ ნიადაგზე დაისვა მსოფლიო პროფმოძრაობის მთლიანობის საკითხი.

ლოზუნგი საერთაშორისო პროფმოძრაობის მთლიანობისა წამოაყენეს კომინტერნის მეხუთე და პროფინტერნის მესამე კონგრესებმა. მას აშკარად მტრულად შეხვდენ მეორე ინტერნაციონალის და ამსტერდამის გაერთიანების ხელმძღვანელი წრეები. მაგრამ ეს იდეა თანდათან იკაფავს გზას ევროპის ფართე მასსებისაკენ და უფრო და უფრო პოპულიარული ხდება. საკითხი პროფმოძრაობის მთლიანობის აღდგენის შესახებ ისმება ცალკე ქვეყნების პროფკავშირთა მასსებს შორის და იწვევს შეხლა-შემოხლას, ჰპოულობს მრავალრიცხოვან მომხრეთ. და ეს ხდება მიუხედავად ევროპის მუშათა მოძრაობის რეფორმისტ-მეთაურების შეგნებული და ჯიუტი წინააღმდეგობა-საბოტაჟისა ხსენებულ ლოზუნგის მიმართ.

ბურჟუაზიულ მსოფლიოს პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდ ცვლილებებს აქვს ადგილი ბოლო ხანებში. მთავარი, რაც თვალში გვეცემა, ესაა რეაქციის ტალღის მძლავრი აგორება ყველგან კაპიტალისტურ ქვეყნებში. ე. წ. დემოკრატიულ-პაციფისტური ხანა თავდება: ბურჟუაზია გადავიდა მკაცრ შეტევაზე მუშათა კლასის წინააღმდეგ. კონსერვატორების გამარჯვება ინგლისში, მემარჯვენე ბლოკის აქტიური გამოსვლები საფრანგეთში, ნაციონალისტების გაძლიერება გერმანიაში, კულიჯის არჩევა პრეზიდენტად ამერიკაში, სასტიკი რეპრესიები კომუნისტების წინააღმდეგ და მრავალი სხვა ქვეყნები აშკარად ეუბნებიან მსოფლიო მუშათა კლასს, რომ ბურჟუაზია ამყარებს თავის შეუზღუდველ დიქტატურას.

ამას მოსდევს ბურჟუაზიის გადასვლა შეტევაზე მუშების წინააღმდეგ ეკონომიურ დარგში—ხელფასის შემცირება, სამუშაო დღის გადიდება და მრავალი სხვა.

ამავე დროს რთულდება საერთაშორისო მდგომარეობა, ღრმავდება ინტერესთა წინააღმდეგობა ცალკე კაპიტალისტურ ქვეყნებ შორის და გროვდება ასაფეთქებელი მასალა ახალი იმპერიალისტური ომისათვის. კერძოდ დოუესის გეგმა შეადგენს ერთ ასეთ მასალას.

ცხადია, რომ მსოფლიო მუშათა კლასი გულზე ხელდაკრეფით ვერ უყურებს მოვლენათა ასეთ განვითარებას. თავის დასაცავად ბურჟუაზიული რეაქციის შემოტევისაგან და მსოფლიო ომის ასაცილებლად მან უნდა მიიღოს შესაფერი ღონისძიებანი. ამისათვის კი საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს მთელი მსოფლიოს მშრომელ მასსების მჭიდროდ გაერთიანება, მათი რიგების დარაზმვა ერთიანი ფრონტით. ძალა ერთობაშია,—ეს ლოზუნგი უფრო-და-უფრო მძლავრად იჭრება ევროპის მშრომელ მასსების შემეცნებაში და ხდება მათი მამოძრავებელ ფაქტორად. კომინტერნის და პროფინტერნის ლოზუნგმა ნოყიერი ნიადაგი ჰპოვა, და ის ახლო მომავალში უეჭველად გამოიღებს რეალურ ნაყოფს.

დღემდე ამ მხრივ მუშაობა მაინც არ იყო გაცილებული აგიტაცია-პროპაგანდის ფარგლებს. ამჟამად მდგომარეობა იცვლება. მკითხველი დღეს გაეცნობა, რომ პროფკავშირთა მეექვსე ყრილობამ ამ საკითხში მიაღწია ერთგვარ შეთანხმებას ინგლისის ტრედ-იუნიონების დელეგაციასთან, სახელდობრ მოხდა შეთანხმება ინგლისის და საბჭოთა პროფკავშირების მთლიანობის კომიტეტის დაარსების შესახებ. იგი უნდა დაამტკიცოს ტრედ-იუნიონების გენერალურმა საბჭომ. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისის პროფკავშირების ზედაფენების უმრავლესობა გაჟღენთილია რეფორმისტული სულით, ჩვენ ეჭვი არ შეგვედის, რომ მოსკოვში მიღწეული შეთანხმება, ფართე მასსების ზეგავლენით, დამტკიცებული იქნება. გულლის კონგრესმა საკმაოდ გამოააშკარავა ინგლისის მუშათა მასსების გამემარცხენების პროცესი. პერსელის შემდეგი სიტყვებიც: „მე მოუწოდებ ყველას შეუდგენ კამპანიას ნამდვილად ანტი-კაპიტალისტურ, ჭეშმარიტად პროლეტარულ, კლასობრივ ინტერნაციონალის შესაქმნელად"—ანარეკლია ინგლისის მშრომელთა მასსების რევოლიუციონური განწყობილების ზრდის. აი, რატომ ვამბობთ, რომ შესაძლებელია ინგლისის და საბჭოთა რესპუბლიკების მუშათა კლასის დაახლოება და მათ მიერ ერთიანი ფრონტის შექმნა. „მთლიანობის კომიტეტსაც" სწორედ ევალება ამ მიმართულებით პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა.

აქვე აღსანიშნავია, რომ ინგლის-საბჭოთა კავშირების დაახლოება-შეთანხმებას უდიდესი მნიშვნელობა ექნება ამ ორი ქვეყნის დამოკიდებულებისათვის. თუ კონსერვატორები დიდ ხალისს არ იჩენენ საბჭოთა მთავრობასთან ურთიერთობის მოგვარებისათვის, სამაგიეროდ ინგლისის მშრომელი მასსები არიან ჩვენს მხარეზე. ეს უფრო ძვირფასია ჩვენთვის. ამან არ შეიძლება არ შეანელოს ლონდონის იმპერიალისტების მადა.

უფრო მნიშვნელოვანია მოსკოვში დადებული შეთანხმება საერთაშორისო მუშათა მოძრაობისათვის. უეჭველია, ამსტერდამის გაერთიანების უმთავრეს ძალის—ინგლისელ ტრედ-იუნიონების ეს ნაბიჯი გამოიწვევს ფართე მოძრაობას.

ჩვენ ვიცით, რომ ამ გზაზე კიდევ დიდი დაბრკოლებები აღიმართება—ამსტერდამის პროფბიუროკრატების მხრით, პირველ ყოვლისა გერმანიის რეფორმისტულ პროფკავშირთა ზედაფენების მხრით. მათ ეშინიათ, რომ პროფმოძრაობის მთლიანობის აღდგენა შეასუსტებს მეორე ინტერნაციონალის და ამსტერდამის გაერთიანების გავლენას მუშათა მასსებში და გააძლიერებს კომინტერნის და პროფინტერნის გავლენას. ასეთ შიშს გამოსთქვამს გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური ორგანო „ფორვერტს". აი, ეს ჯგუფები, ცხადია, ძველებურად გააგრძელებენ ბრძოლას მთლიანობის აღდგენის წინააღმდეგ.

მაგრამ მუშათა ფართე მასსებში, როგორც ვთქვით, ეს ლოზუნგი დღითი-დღე უფრო პოპულიარული ხდება და რეფორმისტული მეთაურები იძულებული იქნებიან მათ ხმას ანგარიში გაუწიონ.

უკანასკნელი ციტადელი

2

ამერიკის პოლიტიკის სწორი განაღდება არ მოხერხდა. საბჭოთა რესპუბლიკები „ანარქიული" მდგომარეობიდან გადავიდნენ საამშენებლო მუშაობაზე. 1924 წ. თუ წარმოება მოვიდა ომამდე არსებული. პროდუქციის 44 პროცენტამდე, სასოფლო მეურნეობამ კიდევ უფრო წინ წაიწია. დათესილ სივრცის რაოდენობა მიმდინარე წელში უდრის ომამდე არსებულის 80 პროცენტს. სამეურნეო ფრონტზე ეს წარმოადგენს უდიდეს მიღწევას.

ამასთან ერთად, საბჭოთა რესპუბლიკებმა გამოიჩინეს დიდი სიმტკიცე და ენერგია ქვეყნის დაცვის და მართვა-გამგეობის ჩამოყალიბების საქმეში.

ამერიკის ბურჟუაზია, რომელიც დახმარებას უწევდა კოლჩაკს, არხანგელსკის კონტრ-რევოლიუციას, ვრანგელს, იუდენიჩს და სხ., დღეს ველარ შესძლებს ასეთი ძალების გამოყენებას, რადგან დღეს შეუძლებელია გენერლების მიერ საბჭოთა კავშირის ჯამბობა.

რამდენადაც ევროპის სახელმწიფონი საბჭოთა კავშირის დე-იურე ცნობით სცდილობენ რაიმე სარგებლობა ნახონ ამ უკანასკნელთა ნორმალური ურთიერთობის დამყარებით, იმდენად ამერიკის ინტერესი იზრდება საბჭოთა კავშირისადმი.

ამერიკის გეგმაში შედის, რომ ევროპის სახელმწიფოებმა, განსაკუთრებით ინგლისმა, რომელიც წარმოადგენს უმთავრეს ძალას ამერიკის წინააღმდეგ, არ ისარგებლოს საბჭოთა კავშირის ნედლი მასალითა და მისი ბაზრებით. ამასთან ერთად, ამერიკის მრეწველობა მოითხოვს ახალი ბაზრების ძიებას. ევროპის შემსყიდველობითი ძალა ისე დაცემულია, რომ ის არ კმარა ამერიკელი მრეწველების მოგების წყაროთ. ამიტომ მათთვის საინტერესოა მსოფლიოს ერთი-მეექვსედის მიმართ სავაჭრო ურთიერთობის გაფართოვება, იმ მეექვსედის, რომელსაც გიგანტიური გეგმები აქვს თავის სამეურნეო ცხოვრების აღსადგენათ და რომელიც საჭიროებს ინდუსტრიის პროდუქტებს როგორც სასოფლო მეურნეობის, ისე საქალაქო მრეწველობის განვითარებისათვის.

ცხადია, ამერიკას, სადაც ნაციონალური სიმდიდრის 60 პროცენტი მცხოვრებთა დიდი უმცირესობის 2 პროცენტის ხელშია, ხოლო ნაციონალური სიმდიდრის მხოლოდ 5 პროცენტი წარმოადგენს მცხოვრებთა დიდი უმრავლესობის, 65 პროცენტის საკუთრებას, არ შეიძლება რაიმე კაცთმოყვარული გრძნობები ჰქონდეს ჩვენს მიმართ. ამერიკამ ინგლისიდან მიიღო მემკვიდრეობით ვაჭრული პოლიტიკა. ცოტა ლაპარაკი და მეტი საქმე, პატარა ხმაურით დიდი მიღწევების დაძლევის თვისება.

შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ ისეთი მემარჯვენე, როგორც გუვერია და ისეთი კაპიტალისტი როგორც მარკ-კარმიკია ან ბანკირი შლეი მხარს უჭერს საბჭოთა კავშირთან დაახლოვების ნაბიჯებს.

ამერიკა დაინტერესებულია ჩვენი ნავთით. ამერიკის ნავთის მარაგი არ არის დიდი. იგი ეძებს ნავთს მსოფლიო ყოველ კუთხეში. როგორც მექსიკის ავანტიურა, ისე ლოზანის კონფერენციის კულისებში „მეთეალკურის" მუშაობა, ნავთისათვის იყო გამართული ამერიკის მიერ. ამიტომ, ამერიკა დიდი სიფრთხილით უთვალთვალებს ინგლისის დამოკიდებულებას საბჭოთა კავშირთან. აქვეა სახალინის და კამჩატკის საკითხებიც, რომლის ირგვლივ ინგლისის იმპერიალიზმს უპირდაპირდებიან ამერიკის იმპერიალისტები ნავთის ძებნის დროს.

უკანასკნელათ ამერიკის კომერციული წრეები აფართოვებენ ვაჭრობას საბჭოთა კავშირთან, ხოლო პოლიტიკურ წრეებში იმართება ბრძოლა საბჭოთა კავშირის, საკითხის გარშემო. რასაკვირველია ადგილი აქვს ანტისაბჭოთა კამპანიას, გამაგრებულს ჭორებითა და საზღაპრო ამბებით ჩვენს შესახებ, მაგრამ თვით ეს ფაქტი მოასწავებს, რომ საბჭოთა კავშირის საკითხი უკვე დასმულია ამერიკის პოლიტიკური წრეების წინაშე.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამერიკას სხვა გზა არ დარჩენია, თუ არა ჩვენი ცნობა. ეს გამომდინარეობს ამერიკის ეგოისტური მიზნებიდან.

ამერიკის განვითარებულმა ინდუსტრიამ თუ ახალი ბაზრები არ იშოვა, ბოლო არ მოეღება სამეურნეო კრიზისს. ამერიკას ვერ უშველის ოქროს სარდაფები, უმუშევრობას ვერ შეაჩერებს გემების შენება მსოფლიო ყაჩაღობის მიზნით.

ამიტომ იმპერიალისტურმა ამერიკამ უნდა იცნოს სოციალისტური საბჭოთა კავშირი. ობიექტიურად სხვა გზა არ არსებობს. ამერიკა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაში მეტოქეთ უნდა მოევლინოს ევროპის ქვეყნებს. ამ მეტოქეობით, რომელიც იქნება ჩვენზე დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, ჩვენ შეგვეძლება უფრო ხელსაყრელ პირობებში ველაპარაკოთ მოწინააღმდეგეთ. ამერიკის მიერ ჩვენი ცნობა იქნება უკანასკნელი ციტადელის გადალახვა, ბურჟუაზიულ ფრონტის საბოლოო დამარცხება საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში.

სერ. ამაღლობელი.

ყოფა-ცხოვრების კითხვებისათვის

(ჩვენი მოსკოველი კორესპონდენტისაგან)

ოჯახი, ამხანაგური ურთიერთობა, უპარტიო ელემენტთან და დამოკიდებულება, სქესობრივ ცხოვრების ნორმები, მაგარი სასმელების ხმარება, ახალი, კომუნისტური ყოფა-ცხოვრება,—აი ის კითხვა, რომელიც დღეს განსაკუთრებულ კამათის საგანს წარმოადგენს მოსკოვის პარტიულ ორგანიზაციებში და პასუხის გაცემას ითხოვს. როგორც ვიცით, ამ კითხვებზე დიდი ყურადღებით შეჩერდა ცენ. საკონტრ. კომისიის უკანასკნელი პლენუმი და, რაც შეიძლებოდა, დაწვრილებით განიხილა ის.

ყველასათვის ცხადია, რომ მორალის და ეთიკის ახალი ნორმების შექმნა ქრესტომატიების გამომუშავებით შეუძლებელია; ეს უტოპიური და სარწმუნოებრივ სექტებს და ღვთის მოსავთა კრებულს უფრო შეშვენის, ვიდრე რევოლიუციურ პოლიტიკურ, ან კულტურულ ორგანიზაციას.

მიუხედავათ ამისა, ერთი მთავარი დებულება, რომლიდანაც უნდა გამოდიოდეს საკუთარ მოქმედებაში ყველა რევოლიუციონერი და რომელზედაც უნდა ემყარებოდეს ის თავის ყოველდღიურ საქმიანობაში, მაინც არსებობს. ამხ. ლენინმა ასე დაახასიათა ახალი ზნეობა: „ზნეობა არის ის, რაც ხელს უწყობს ძველი, ექსპლოატატორული საზოგადოების დარღვევას და ყველა მშრომელთა გაერთიანებას პროლეტარიატის გარშემო, ე. ი. იმ კლასის გარშემო, რომელიც ჰქმნის ახალ კომუნისტურ საზოგადოებას" *).

რამდენად სასარგებლოა ესა თუ ის მოქმედება მუშათა კლასისათვის, გვაახლოებს თუ გვაშორებს ის საბოლოო მიზნისაგან?—აი, ის საზომი, ის თვალსაზრისი, რომლითაც უნდა აიწონოს და შეფასდეს კომუნისტის თვითეული ნაბიჯი, მისი კერძო თუ საზოგადოებრივი ყოფაქცევა და მოღვაწეობა.

დღეს, ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში, რომელიც აგერ ოთხი წელია ხორცს ისხამს და ყალიბდება საბჭოთა სისტემის ჩარჩოებში, მორალის და ეთიკის ამოცანები მეტი სიმწვავით წამოიჭიმა შინაპარტიულ ცხოვრებაში და ფართე საკამათო კითხვებათ გადაიქცა. „ნეპ"-მა მატერიალურ უთანასწორობის ტალღა ახალ საზოგადოებრივ ცხოვრების ყველა დარგში შეიტანა. ამით ინდივიდუალისტურ მიდრეკილებების ფართე ასპარეზი იქმნება, რაც წინ ეღობება საზოგადოების კოლექტივისტურ აღმზრდელობას და განვითარებას.

გარდა ამისა, მთელი რიგი სამეურნეო ფრონტზე მომუშავე ამხანაგობისა მჭიდრო საქმიან ურთიერთობაშია ახალ ბურჟუაზიასთან. ძველი და ახალი საზოგადოება აქ ეტაკება დღეს პირისპირ ერთმანეთს. ყოველივე ეს იშვიათ გამჭრიახობას და რევოლიუციურ სიმტკიცეს მოითხოვს ცალკე ამხანაგისაგან, რომ ის არ ჩაიფლას მომაკვდავ საზოგადოების ჭაობში, რომ ის არ გაიტაცოს მომავალ ცხოვრების მორევმა.

ამასთან ერთად ამ შვიდი წლის განმავლობაში მომწიფდა და ჰასაკში მოვიდა ახალი თაობა. დღეს ეს ახალგაზრდობა მომავალ საზოგადოებისათვის მებრძოლთა ყველაზე ცოცხალი და მჩქეფარე ძალას წარმოადგენს ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლისთანავე იგი ორ წინააღმდეგობის შუა მოჰყვა—„ნეპ"-ის სახით—ერთი მხრივ და სოციალისტურ აღმშენებლობის სახით—მეორე მხრივ.

ასეთ გარდატეხის, ძველი ქვეყნის რღვევის და ახალის აღმშენებლობის ჟამს განსაკუთრებით ძნელია სწორი გზის გამონახვა ყოფა-ცხოვრების დარგში იმ თაობისათვის, რომელიც თვით იმყოფება ფიზიოლოგიურათ კრიტიკულ ხანაში, რომელიც ჭაბუკობიდან ვაჟკაცობაში გადადის. აქედან გასაგებია, რომ ზნე-ჩვეულების და ყოფა-ცხოვრების კითხვა უფრო მეტად პარტიის ახალ თაობას აინტერესებს და განსაკუთრებით ამ წრეებში დგას.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მორალის და ეთიკის შექმნაში უდიდესი ადგილი უჭირავს პირველ ყოვლისა ოჯახს. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ოჯახი კერძო საკუთრების ინსტიტუტია, ამ საზოგადოების განუყოფელი ნაწილაკი და უჯრედია. ჯერ-ჯერობით არ შექმნილა ახალი ოჯახის ფორმა. შვიდი წელი ამისათვის ანგარიშში მისაღები დროც არ არის. ძველი ოჯახი-კი გამოუსადეგარი და შეუფერებელი გახდა ჩვენს სინამდვილეში. ამ ნიადაგზე იქმნება გაუგებრობის ფართე ასპარეზი.

ბევრი ამხანაგი ძველის სიძულვილეში ისე შორს მიდის, რომ ხელაღებით უარყოფს საზოგადოთ ყოველივე ოჯახს, როგორც სქესთა შეერთების ფორმას და მომავალ თაობის საფუძველს. აქედან დიდი გასავალი ეძლევა იაფფასიან დემაგოგიას ოჯახის საყოველთაოდ „ობივატელურ" და „მეშჩანურ" დაწესებულებათ მონათვლის შესახებ. ამ ნიადაგზე იქმნება სქესობრივ ენერგიის უთავბოლო ფლანგვა. აშკარაა, მუშათა კლასის არც ერთ ჭკუათმყოფელ კეთილის მოსურნეს არ შეუძლია სთქვას, რომ ეს სარგებელს მატებდეს პროლეტარიატს და მას ბრძოლას უადვილებდეს ისტორიულ მისიის შესრულებაში.

ეთიკის და მორალის კითხვა, არანაკლებად აინტერესებს, ალბად საქართველოს ორგანიზაციებსაც. ჩვენშიც, სადაც წვრილ-ბურჟუაზიული გავლენა უფრო ძლიერია და ინდუსტრიალური პროლეტარიატი უფრო სუსტი, მეტად დიდი ამოცანა უდგას კომპარტიას ახალ იდეოლოგიის გამომუშავების შეწყობაში და პროლეტარულ ყოფა-ცხოვრების განმტკიცებაში. ცხოვრება თვით აყენებს დღეს ამ კითხვებს ჩვენს წინაშე—მას უნდა ათხოვოს ყური მთელმა პარტიულ კოლექტივმა, როგორც ამას მოსკოვში აქვს ადგილი. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ყოფა-ცხოვრების ახალ ნორმების გამონახვა.

ა. ჭყონია.

მოსკოვი, 12 ნოემბერი.

---

*) Ленин. собр. соч. том XVII. стр. 323.

საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის კონფერენციის პროგრამა

საფრანგეთს და მეფურ რუსეთს შორის დადებულ ხელშეკრულების გადახედვა.—დიპლომატიური ურთიერთობის და იმუნიტეტის საკითხები.—ქონების და სესხის საკითხები.

ჩვენი ელჩი ამხ. კრასინი პარიზში ჩავა ნოემბრის დამლევს.

პარიზში მყოფ რუს-მონარქისტებმა დაიწყეს „მუშაობა".—მცირე ანტანტა მალე იცნობს საბჭოთა კავშირს.—ჩვენი საგარეო ვაჭრობის ბალანსი იზრდება.

ბულგარეთი მოკლე დროში განაახლებს ჩვენთან ურთიერთობას.

ერრიოს განცხადება

პარიზი, 19 ნოემბ. „პტი პარიზიენ"-ს მოჰყავს ანგარიში პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიაში ერრიოს გამოსვლის შესახებ. გაზეთი აღნიშნავს, რომ ერრიომ მოიყვანა ყველა მიზეზები, რომლებმაც გამოიწვიეს საბჭოთა კავშირის მთავრობის ცნობა. გაზეთს მოჰყავს ერრიოს განცხადება იმის, რომ მას არც კი უფიქრია ჩარეოდა ინგლისის საარჩევნო ბრძოლაში და ამ მიზნით სწორედ ამ დროისთვის ეცნო საბჭოთა კავშირი. ერრიომ სთქვა, რომ საბჭოთა მთავრობის პასუხის მიღება ინგლისის არჩევნების წინ არის შემთხვევითი მოვლენაო.

პარიზის კონფერენციისათვის

პარიზი. 19 ნოემბერი. იმ ანგარიშში, რომელიც მოჰყავს „პტი პარიზიენს" პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიაში ერრიოს გამოსვლის შესახებ—ნათქვამია, რომ პროგრამა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის კონფერენციისა, რომელიც უნდა გაიხსნეს 10 იანვარს შეიცავს შემდეგ მუხლებს: 1) გადახინჯვა იმ ხელშეკრულებების, რომლებიც დადებულია საფრანგეთსა და მეფის მთავრობას შორის, 2) დიპლომატიური და საკონსულო კავშირის საკითხები, იმუნიტეტის საკითხი, 3) პასპორტების საკითხის მოწესრიგება. 4) იმ საკითხების მოგვარება, რომელთაც კავშირი აქვთ საფრანგეთ-რუსეთის ურთიერთობასთან წარსულში, მაგალითად: საკითხები ერთ სახელმწიფოს ქონებისა და ინტერესების შესახებ მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ერთი სახელმწიფოს მიერ მეორესათვის ზარალის ანაზღაურების შესახებ, სესხის, რუსეთის და საფრანგეთის კერძო მოქალაქეების ქონების და ინტერესების საკითხები და 5) ახალი დებულების შემუშავება კერძო პირთა ქონების და ინტერესების შესახებ იმ კანონებთან შეთანხმებით, რომლებიც არსებობენ თვითეულ სახელმწიფოში.

ერრიომ თავის განცხადებაში აღნიშნა, რომ პოლონეთსა და რუმინეთს, რომლებიც შეკითხულ იქნენ საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ, არ წარმოუდგენიათ არავითარი საბუთები ცნობის წინააღმდეგ. რაც შეეხება კომუნისტების მტკიცებას, რომ რუსეთის ვალები განხილული იქნებიან, როგორც მოკავშირეთა ვალები, ერრიომ განაცხადა, რომ რუსეთის ვალების მიჩნევა მოკავშირეთა ვალებთან არ არის სწორი. დასასრულ ერრიომ აღნიშნა, რომ მომავალ ხელშეკრულებათა სახელმძღვანელო პრინციპი უნდა იყოს ორივე მხარის კეთილსინდისიერება.

ჩვენი და საფრანგეთის ელჩები

პარიზი. 19 ნოემბ. „პტი პარიზენ" იტყობინება, რომ კიდევ გამოურკვეველია, როდის შესძლებს ერბეტი, რომელიც დანიშნულია ელჩად მოსკოვში, დანიშნულების ადგილას გამგზავრებას, რადგანაც კრედიტები საბჭოთა კავშირში საელჩოს დასაარსებლად კიდევ არ არის დამტკიცებული პარლამენტის მიერ.

გაზეთები ფიქრობენ, რომ კრასინი, რომელიც დანიშნულია საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლად საფრანგეთში პარიზში ჩავა ნოემბრის ბოლო რიცხვებში.



ერბეტი
საფრანგეთის ელჩი საბჭოთა კავშირში.

უცხოეთის ელჩები

მოსკოვი, 19 ნოემბ. მონღოლეთის წარმომადგენელმა საბჭოთა კავშირში—იაპონ დანზანმა და მექსიკის წარმომადგენელმა—პროფესორმა ვადილომ გადასცეს კალინინს თავიანთი რწმუნების სიგელები.

ურთიერთობა ბულგარეთთან

ვენა. 19 ნოემბერი. სოფიის გაზეთის „უტრო"-ს ცნობით, ბულგარეთის მთავრობის წრეებში იხილავენ საკითხს საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ. ბულგარეთის პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ ბულგარეთი საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობის განახლების საკითხი დღის წესრიგში დაისმება, როგორც კი საბჭოთა კავშირს იცნობს სამხრეთ-სლავია.

გამოსავალს ეძებენ

პარიზი 19 ნოემბერი. გაზეთ „მატენის" ბელგრადელი კორესპონდენტის ცნობით, ახლო ხანში დაიწყება მოლაპარაკება პოლონეთის შესვლის შესახებ მცირე ანტანტაში. ბელგრადის პოლიტიკურ წრეებში სთვლიან პოლონეთის შესვლას მცირე ანტანტაში საჭიროთ, ვინაიდან მცირე ანტანტის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობა აუცილებელია. პოლონეთის შესვლა კი მცირე ანტანტაში გააძლიერებდა უკანასკნელის პოზიციას საბჭოთა კავშირის მიმართ.

ჟანდარმების უკმაყოფილება

ვენა. 19 ნოემბერი. მთელი რუმინეთის პრესა კვლავ ილაშქრებს იტალიის წინააღმდეგ ბესარაბიის საკითხში მის მიერ დაკავებულ პოზიციის გამო. ნაციონალისტური გაზეთი „ლუპტა" აცხადებს, რომ იტალიის მთავრობის პოლიტიკა, რომელიც არავითარ ანგარიშს არ უწევს რუმინეთის საარსებო ინტერესებს გამოიწვევს რუმინეთ-იტალიის დაშორებას. მსხვილი კაპიტალისტების ორგანო „დიმინეატა" ფიქრობს, რომ მუსოლინის პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ არავითარ შემთხვევაში არ აამაღლებს იტალიის პრესტიჟს განათლებულ ქვეყნების შორის.

მონარქისტები „მუშაობენ"

პარიზი. 19 ნოემბერი. ვრანგელი ამჟამად პარიზში იმყოფება. ამ რამდენიმე ხნის წინათ მისი თანდასწრებით გაიმართა მონარქისტების კრება, რომელზედაც განხილული იქნა საკითხი „იძულებითი ზომების შესახებ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლების მიმართ საფრანგეთში". მონარქისტებს სურთ ისარგებლონ ვრანგელის მრავალი ოფიცრების ჩამოსვლით პარიზში სერბიიდან და ბულგარეთიდან. კრებამ გადასწყვიტა პარიზში გადაიტანოს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული მონარქისტული მოღვაწეობის ცენტრი. ფულებს მონარქისტებს აქეთ, რადგან მათ დახმარებას უწევს ფრანგ მონარქისტთა ლიგა „აქსიონ ფრანსეზ".

ჩვენი მრეწველობა

სტოკჰოლმი, 19 ნოემბ. პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს, საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა შვეციაში დოლგალევსკიმ აღნიშნა, რომ უცხოეთის პრესის ცნობები მოუსავლიანობის შესახებ საბჭოთა კავშირში გადაჭარბებულია. სტატისტიკური ცნობებით მან დაამტკიცა საბჭოთა კავშირის შეუჩერებელი ეკონომიური ზრდა, კერძოდ კი მრეწველობის, კოოპერაციის და ფულის ბრუნვის ზრდა.

გაზეთები აღნიშნავენ, რომ საბჭოთა ახალმა ელჩმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა შვეციაში.

ჩვენი საგარეო ვაჭრობა

მოსკოვი. 20 ნოემბ. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან არსებულ კომუჯრედის წევრთა კრებაზე ამხ. კრასინმა მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის შესახებ. მან აღნიშნა, რომ მიუხედავად პურის გატანის შეწყვეტისა, საგარეო ვაჭრობის ბალანსი ერთ მილიარდ მანეთს გადააჭარბებს და აქტიური იქნება.

უცხოეთის მსხვილ ბანკებს, მიუხედავათ იმისა, რომ დიდმა სახელმწიფოებმა უარი უთხრეს საბჭოთა კავშირს სესხის მიცემაში, ფაქტიურად საქმიანი ურთიერთობა აქვთ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ორგანოებთან. ყველაზე ფართე საქმიანი ურთიერთობა ჩვენთან აქვს ინგლისის კომერციულ ბანკს, რომელმაც ჩვენ გაგვიხსნა კრედიტი 150 მილიონ მანეთზე მეტი რაოდენობით.

პრესა

კლასობრივი ბრძოლა სოფლად

მეტად თვალსაჩინოა სოფლად გლეხობის ქონებრივი დანაწილება, დიფერენციაცია. საგრძნობლად გაიზარდა და მოღონიერდა „კულაკური" ელემენტი. იგი ცდილობს ეკონომიურად დაიმორჩილოს გლეხობის ღარიბი ნაწილი—სესხის მიცემით, ინვენტარის სესხებით და სხ. უფრო საგულისხმოა ის გარემოება, რომ „კულაკები" არ კმაყოფილდებიან ღარიბ გლეხობაზე ეკონომიური გავლენის გაძლიერების ცდით,—ისინი ისწრაფვიან მოიპოვონ გავლენა სოფლის საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ ცხოვრებაშიც. ამ მიზნით ისინი ცდილობენ გაძვრენ გლეხკომებში, კოოპერატივებში და სხვა ორგანიზაციებში. ეჭვი არ არის, რომ მომავალ საბჭოთა არჩევნებში „კულაკები" ყოველ ღონეს იხმარენ, რათა მოხვდენ ახალ საბჭოებსა და მათ აღმასრულებელ ორგანოებში.

ამნაირად, სოფლად სწარმოებს ხან ფარული, ხან კიდევ აშკარა კლასობრივი ბრძოლა.

„კულაკების" გავლენას ჩვენ ვებრძვით სხვადასხვა გზით. ხელისუფლება ეხმარება გლეხობას მის მეურნეობის აღორძინების საქმეში—იაფი სასოფლო-სამეურნეო კრედიტით, სამეურნეო მანქანების მიწოდებით, აგრონომიული ცოდნის გავრცელებით და სხ.,—რათა ის იხსნას „კულაკების" ბრჭყალებიდან და დააყენოს საკუთარ ფეხზე.

ამასთან, თავისთავად ცხადია, რომ „კულაკები" არ უნდა გავაჭაჭანოთ საბჭოების და სხვა სასოფლო ორგანიზაციების ახლოს. აქ ჩვენ გვმართებს განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენა.

მაგრამ სოფლად არსებულ კლასობრივ ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება შუათანა გლეხობის როლს. ხსენებული ბრძოლის შედეგი, ჩვენი გამარჯვება დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად შევძლებთ ჩვენ ღარიბ და შუათანა გლეხობის კავშირის შენარჩუნება-განმტკიცებას და მათ დარაზმვას „კულაკების" წინააღმდეგ.

გაზ. „პრავდა" ეხება ამ საკითხს:

> „საჭიროა, პირველ ყოვლისა, გვახსოვდეს, რომ ბრძოლა უნდა სწარმოებდეს შუათანა გლეხობაზე გავლენის მოსაპოებლად. ეს ამოცანა მეტად ძნელია, მაგრამ იგი სოფლად მუშაობის ძირითადი ამოცანაა, რამდენადაც საქმე ძალთა განწყობილებას ეხება. გვექნება თუ არა ჩვენ ღარიბ გლეხობის ბლოკი შუათანა გლეხობასთან კულაკის წინააღმდეგ, ან შუათანა გლეხის ბლოკი კულაკთან ღარიბი გლეხობის წინაღმდეგ—ამაშია მთელი საკითხის მთავარი აზრი".

აქ უდიდესი მნიშვნელობა აქვს თვით „კულაკის" ცნების განსაზღვრას. შესაძლებელია ორგვარი შეცდომა: ან „კულაკი" მივაკუთნოთ შუათანა გლეხს, ანდა, პირიქით, შუათანა გლეხი ჩავრიცხოთ „კულაკების" სიაში. ასეთი „გადახრა" უნდა ავიცდინოთ თავიდან. ამ შემთხვევაში საჭიროა ყოველი გლეხისადმი კონკრეტული, ინდივიდუალური მიდგომა,—ადგილის, სამეურნეო და ყოფა-ცხოვრების პირობების, კულტურათა ფორმების და სახების და სხვა ნიშნების მიხედვით.

აღნიშნავს რა ამას, „პრავდა" ასკვნის:

> „სწორი ორიენტაცია, სწორი გეზი კლასობრივ ჯგუფების გასაზღვრის დროს იძლევიან მკვიდრ საფუძველს მთელი შემდგომი პოლიტიკისათვის, პოლიტიკისათვის, რომელიც გამოიხატება შუათანა და ღარიბ გლეხობის ბლოკში... უდიდესი საქმიანობით უნდა განვამტკიცოთ შუათანა და ღარიბ გლეხობის ბლოკი, უნდა გაურბოდეთ ისეთი ნაბიჯის გადადგმას, რასაც შეეძლება ვნება მოუტანოს შუათანა გლეხის მეურნეობას. მხოლოდ მაშინ სოფლის უდიდესი უმრავლესობის „საზოგადოებრივი აზრი" შეუძლებელს გახდის კულაკების თარეშს და ღარიბ და შუათანა გლეხობის ბლოკი არა სიტყვით, არამედ საქმით გახდება სოფლის ბატონ-პატრონი"

ესტონელ კომუნისტების პროცესი



ესტონეთის პროლეტარიატის ბელადები
1) ტომპ, 2) კანგურ, 3) პიალსონ, 4) კეერდო, 5) რეა, 6) ვეიდემან, 7) იანსონი, 8) რეეზენცი, 9) ალლიკი, 10) ვეიმარი.

ამხ. ტომპი, კანგური, კეერდო, რეა, იანსონი, და ალლიკი დააპატიმრეს ა. წ. იანვარში და ახლა მათ ასამართლებს ესტონეთის ბურჟუაზიის სასამართლო. (ამხ. ტომპი გასამართლების მესამე დღესვე დახვრიტეს სასამართლოს „შეურაცყოფისათვის").

ამხანაგმა რეეზენცმა, ვეიმარმა და პიალსონმა მოასწრეს დამალვა.

ეშინიათ

რეველი. 19 ნოემბ. 149-ს გასამართლების მეცხრე დღეს დამთავრდა მოწმე პოლიციელების დაკითხვა. ამ „მოწმეებს" შორის იყო ცნობილი „ოხრანიკი" პერი. სასამართლო განსაკუთრებით ცდილობდა გამოერკვია ეკუთვნიან თუ არა ბრალდებულები ისეთ ორგანიზაციებს, რომლებიც დგანან კომინტერნის ან პროფინტერნის პლატფორმაზე. მაგრამ მოწმეებს მოჰყავთ მხოლოდ ნაწყვეტები იმ სიტყვებიდან, რომლებიც ვითომდა წარმოუთქვამთ ბრალდებულებს მუშების კრებებზე.

პრესა დაჟინებით მოითხოვს, რომ სასამართლოს სხდომები დახურულად იქნეს, ვინაიდან ბრალდებულები სასამართლოთი საავიტაციო მიზნებისათვის სარგებლობენ.

რეველი. 19 ნოემბ. გრძელდება მოწმეების დაკითხვა, რომელიც არაფერ ახალ მასალას არ იძლევა. ყველა მოწმეები ლაპარაკობენ ბრალდებულებზე, როგორც პროფესიონალური მოძრაობის ორგანიზატორებზე. დაკითხულმა, ცნობილმა პროვოკატორმა ლინკერსმა, რომელმაც ერთ დროს გასცა კომუნისტი კინგისეპი, ამ პროცესზე ვერავითარი არსებითი ჩვენება ვერ წარმოადგინა. ბრალდებულებს ისევ მხნეთ უჭირავთ თავი.

მთავრობის კრიზისი ლატვიაში

რიგა. 19 ნოემბერი. ფინანსთა მინისტრის კალნინგის გადადგომის გამო მთავრობის მდგომარეობა კვლავ შეირყა. სწარმოებს მოლაპარაკება მთავრობაში მემარჯვენე მენშევიკების შესვლის შესახებ. სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგებში მოხდა განხეთქილება. პარტიის ჩამოსცილდა გამოჩენილ მოღვაწეების ერთი ჯგუფი დოქტორ კურშინსკის მეთაურობით, ეს ჯგუფი უკმაყოფილოა სოციალ-დემოკრატების შეთანხმებლური პოლიტიკით.

პროფმოძრაობის მთლიანობისათვის

მოხდება შეთანხმება საბჭოთა კავშირის და ინგლისის პროფკავშირების დელეგაციის შორის

„ჩვენ ვიბრძვით პროფმოძრაობის მთლიანობისათვის“.—„ბრძოლა ერთიანი ფრონტისათვის მჭიდროთ არის დაკავშირებული იმპერიალისტურ ომების, ფაშიზმის, ინტერვენციის და კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლის საკითხებთან“.—პროფკავშირთა საკავშირო მეექვსე ყრილობა დაიხურა.

ამხ. ტომსკის განცხადება

მოსკოვი. 19 ნოემბერი. მოხსენებების გამო რეზოლიუციების მიღების შემდეგ ყრილობის დავალებით ამხ. ტომსკი აცხადებს შემდეგს: „ჩვენ ვისარგებლეთ ინგლისის პროფკავშირების ავტორიტეტულ დელეგაციის მოსკოვში ჩამოსვლით და შევეცადეთ გადაგვედგა პირველი პრაქტიკული ნაბიჯები საბჭოთა კავშირის და ინგლისის პროფკავშირების დასაახლოებლად. ასეთ მნიშვნელოვან პრაქტიკულ ნაბიჯათ ჩვენ ვსთვლით ინგლის-საბჭოთა კავშირის კომიტეტის შექმნას—საერთაშორისო პროფმოძრაობის მთლიანობისათვის საბრძოლველათ.

სავსებით დარწმუნებული იმაში, რომ იგი ასრულებს საერთო სურვილებს, ყრილობას პრეზიდიუმმა გამართა სათანადო მოლაპარაკება ინგლისის ტრედ-იუნიონების ძმურ დელეგაციასთან. ამ წინასწარ თათბირის შემდეგ ჩვენ შემოგვაქვს ყრილობის მიერ დასამტკიცებლათ რეზოლიუციის შემდეგი პროექტი:

ვინაიდან საერთაშორისო პროფმოძრაობის გაერთიანების საქმის დაჩქარებას ეძლევა მსოფლიო—ისტორიული მნიშვნელობა, განსაკუთრებით ბურჟუაზიულ-იმპერიალისტურ რეაქციის გაძლიერების გამო მთელ რიგ დიდ ქვეყნებში,— ყრილობას თავის მოვალეობად მიაჩნია თავის მხრივ ყოველგვარი ზომები მიიღოს ამ მიმართულებით.

იმ ბრძოლის შესათანხმებლად, რომელსაც აწარმოებენ მთლიანობისათვის ინგლისისა და საბჭოთა კავშირის პროფკავშირები, ყრილობა ანიჭებს სრ. რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს უფლებას, ინგლისის ტრედიუნიონების გენერალურ საბჭოსთან მოლაპარაკების შემდეგ, მოაწყოს ინგლის-რუსეთის (ინგლის-საბჭოთა კავშირის) კომიტეტი, რომლის ამოცანას უნდა შეადგენდეს ორივე ქვეყნის პროფმოძრაობის ხაზის შეთანხმება საერთაშორისო პროფმოძრაობის მთლიანობისათვის ბრძოლის დროს. ყრილობა ავალებს სრ. რუს. პროფკავშ. ცენტრალურ საბჭოს უახლოეს მომავალში შეუდგეს ამ გადაწყვეტილების განხორციელებას, რადგან ასეთია ყრილობის სურვილი, რათა ამ კომიტეტის დაარსება მოხდეს არა უგვიანეს 1925 წლის იანვრისა.

ამასთანავე, ყრილობა ავალებს სრულ. რუსეთის პროფკავშ. ცენტრ. საბჭოს მიიღოს ისეთი ზომები, რომელსაც იგი დაინახავს საჭიროთ საერთაშორისო პროლეტარიატის მთლიანობის ინტერესების მიხედვით.

მეექვსე ყრილობა კმაყოფილებით აღნიშნავს ინგლისის ტრედიუნიონების დელეგაციის განცხადებას, რომ მას მიზანშეწონილათ მიაჩნია ასეთი ნაბიჯის გადადგმა და დაიცავს მას ინგლისის პროფკავშირების და მათ გენერალურ საბჭოს წინაშე. ყრილობა ფიქრობს, რომ სხვა ქვეყნების პროფესიონალური ორგანიზაციები მიბაძავენ ამ მაგალითს და თავის მხრივ გამოიჩენენ სათანადო აქტივობას მთლიანობის აღდგენის საქმეში“.

რეზოლიუციის წაკითხვის შემდეგ, ტომსკი ამბობს: „ჩვენ სავსებით უწევთ ანგარიშს იმას, რომ თუ პროფკავშირთა მთლიანობის საქმეში არ ჩავაბით სხვა ქვეყნების პროფკავშირები, ზედმეტია ლაპარაკი ნამდვილ საერთაშორისო მთლიანობის შესახებ. ინგლისის დელეგაციის წევრებსაც წარმოდგენილი აქვთ ეს მთლიანობა, როგორც ყველა პროფორგანიზაციების გაერთიანება. უნდა გაერთიანდენ ყველა ორგანიზაციები, რომელნიც იმყოფებიან ამა თუ იმ ინტერნაციონალში, ან ჩამოშორდენ რომელიმე ინტერნაციონალს.

ნამდვილი მთლიანობის განხორციელება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა ორგანიზაციები, რომელნიც პროფინტერნში ერთდებიან, შევლენ პროფკავშირების მომავალ გაერთიანებულ ინტერნაციონალში.

პროფინტერნი არა ერთხელ აცხადებდა, რომ ის მზადაა შესწყვიტოს განკერძოებული არსებობა, თუ მოწვეული იქნება სამართლიან პირობებში პროფკავშირთა მსოფლიო კონგრესი, რომელზედაც წარმოდგენილ იქნებიან ყველა პროფესიონალური ორგანიზაციები, რომელნიც ემხრობიან ეხლა პროფინტერნს და ამსტერდამის გაერთიანებას.

საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა სახელით ჩვენ სავსებით ვეთანხმებით პროფინტერნის ამ განცხადებას.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბრძოლა მთლიანობისათვის მჭიდროდ უნდა იქნას დაკავშირებული იმ ბრძოლასთან, რომელიც სწარმოებს ახალ იმპერიალისტურ ომების, ინტერვენციის, ფაშისტურ რეაქციის, კაპიტალის შემოტევის და დოუესის გეგმის წინააღმდეგ.

პრეზიდიუმი სთხოვს ყრილობას ერთხმად მიიღოს ჩემ მიერ წაკითხული რეზოლიუცია და ერთხმადვე მოიწონოს ჩემი განცხადება“.

ყრილობა მქუხარე ტაშით ერთხმად იღებს რეზოლიუციას და ყრილობის პრეზიდიუმის განცხადებას.

რეაქციის წინააღმდეგ

რეზოლიუციის მიღების შემდეგ მარტი ესალმება ყრილობას საფრანგეთის კომპარტიის სახელით. ყრილობა ერთხმად იღებს საპროტესტო რეზოლიუციას თეთრი ტერორის წინააღმდეგ და მიმართვას გერმანიის პროლეტარიატისადმი. ყრილობა პროტესტს აცხადებს კომუნისტების დევნის წინააღმდეგ რეიხსტაგის არჩევნების დროს.

მიღებული იქნა აგრეთვე მოწოდება ჩინეთის საქმეებში უცხოელების ჩარევის წინააღმდეგ და მიმართვა საფრანგეთის შრომის უნიტარულ კონფედერაციისადმი. მიმართვაში ყრილობა მადლობას უცხადებს კონფერენციის დელეგატების მოპატიჟებისათვის ორივე ქვეყნების მუშებს შორის მეგობრობის განსამტკიცებლად.

პროფკავშირთა ცენტრალ. საბჭო

ყრილობა ერთხმად ირჩევს პროფესიონალურ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოს 153 წევრის და 82 კანდიდატის შემადგენლობით. სრულიად საკავშირო ცენტრ. საბჭოს სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში არჩეული იქნა 7 კაცი.

ოვაცია ამხ. ტომსკის

რიგს გარეშე განცხადებით გამოდის ამხ. ფიგატნერი, რომელიც იუწყება, რომ წელს შესრულდა 20 წელიწადი მას შემდეგ, რაც ამხ. ტომსკი შევიდა რუსეთის კომპარტიის რიგებში. 20 წლის წინად მეფის სამართალში მიცემულ ამხანაგების ერთი ჯგუფის დავალებით ამხ. ფიგატნერმა მოკლედ დაახასიათა ამხ. ტომსკის რევოლიუციონური მოღვაწეობა. ყრილობა ხანგრძლივ ოვაციებს უმართავს ამხ. ტომსკის და ადგენს გამოცემულ იქნას ფართოთ გასავრცელებლათ ყველა მისი შრომები პროფესიონალურ მოძრაობის შესახებ.

ყრილობის შედეგები

უკეთებს რა ჯამს ყრილობის მუშაობას, ტომსკი ხაზს უსვამს, რომ ყრილობამ აჩვენა სრული ერთსულოვნება თავის მუშაობაში. ეს ამტკიცებს, რომ ჩვენი პროფმოძრაობა სწორ გზაზე სდგას და განაგრძობს იმ მუშაობას, რომელიც გაითვალისწინა სრულიად რუსეთის ცაკის პლენუმმა და პროფკავშირთა ყრილობამ. ყრილობის მუშაობის საქმიანობა, მნიშვნელოვან პრინციპიალურ საკითხების უეჭველად გადაჭრა ამტკიცებს, რომ რუსეთის პროფესიონალურ მოძრაობის უკეთესი მომავალი უზრუნველყოფილია.

რაც შეეხება პროფმოძრაობის მთლიანობას ტომსკი გამოსთქვამს რწმენას, რომ ინგლისის და სხვა ქვეყნების უძველეს პროფკავშირების მუშაობის წყალობით მთლიანობის საკითხი სასურველათ გადაიჭრება. „საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა ყრილობის პრეზიდიუმის სახელით და ვფიქრობ ყრილობის და მასზე წარმოდგენილ მუშების სახელით ხელს ვართმევ პერსელსო“ — ამბობს ტომსკი და მიდის პერსელთან და ართმევს მას ხელს. ყველა დელეგატები დგებიან ადგილებიდან და მქუხარე ოვაციებს უმართავენ ტომსკის და პერსელს. ტომსკი დახურულათ აცხადებს საბჭ. კავშირის პროფკავშირთა მეექვსე ყრილობას. ყველანი დგებიან და მღერიან „ინტერნაციონალს“.

კომფრაქციის სხდომა

მოსკოვი, 20 ნოემბ. 19 ნოემბერს შესდგა გაფართოებული სხდომა სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს პლენუმის ფრაქციის, რომელიც არჩეულ იქნა საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა მეექვსე ყრილობაზე. სხდომას დაესწრნენ კავშირთა ცენტრალურ კომიტეტების, საოლქო პროფკავშირთა საბჭოების, საოლქო ბიუროების, მელითონეების, შაქრის მრეწველობაში მომუშავეების, ქიმიკოსების და რკინის გზელთა კავშირების ცენტრალურ კომიტეტების პლენუმთა ფრაქციების წარმომადგენლები. სხდომამ მოისმინა ამხ. კამენევის და სტალინის მოხსენებები შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ. პლენუმმა დაადგინა შეუერთდეს რეზოლიუციას, რომელიც მიიღო რ. კ. პ. მოსკოვის კომიტეტის სხდომამ აქტიურ მუშაკების თანდასწრებით და, რომელიც გამოქვეყნებული იყო 19 ნოემბრის „პრავდა“-ში.

სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს პრეზიდიუმის ახალ შემადგენლობაში არჩეული არიან შემდეგი ამხანაგები: ტომსკი, დოგადოვი, შმიდტი, ლოზოვსკი, ხინჩუკი, ვლადიმიროვი, მელნიჩანსკი, ანდრეევი, უგაროვი, ლეპსე, გლებოვი, ავილოვი, შვარცი, მიხაილოვი, კაუზოვი და ჩერნიშევი. კანდიდატად არჩეული არიან: იაგლომი, ფიგატნერი, [illegible], ევრეინოვი, [illegible], პავლოვი და კოროსტელევი.

ყრილობის დასრულების შემდეგ

მოსკოვი. 19 ნოემბერი. პერსელმა (ინგლისის ტრედიუნიონების დელეგაციის თავმჯდომარემ) განაცხადა: „მოლაპარაკება, რომელსაც ადგილი ჰქონდა ინგლისის და საბჭოთა კავშირის პროფკავშირების წარმომადგენელთა შორის მსოფლიო მუშათა კლასს შემატებს ახალ ძალებს და აღავსებს იმედით.

ყველა ძველ და ყველაზე ნორჩ პროფმოძრაობის საერთო ძალ-ღონით შეიძლება სასწაულის მოხდენა მუშათა კლასის მთლიანი საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის საქმეში. ინგლისის და რუსეთის პროფკავშირთა მოქმედების გაერთიანება მოაშუშებს მრავალ ჭრილობებს და დააბრუნებს გაერთიანებულ მუშათა ორგანიზაციებში მათ გარეშე მდგომ ორგანიზაციებს და კავშირებს.

გაერთიანების მიზანია—მუშათა კლასის შეგნებულ, განუყოფელ მეცნიერულ—ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნა: ამ ორგანიზაციის ხასიათი [illegible] უზრუნველყოფს პროლეტარიატის [illegible] გამარჯვებას“.

ბენ ტილეტი (ინგლისის ტრედიუნიონების დელეგაციის წევრი):

„ჩვენ უდიდეს მნიშვნელობას ვაკუთვნებთ იმ ფაქტს, რომ პირველად, ომის შემდეგ, გვეძლევა ჩვენ საშუალება განვიხილოთ მთელი თავისი სიგრძე-სიგანით მუშათა კლასის საერთაშორისო თანამშრომლობის გეგმა“.

გარრი პოლლიტი (ინგლისის კომპარტიის პოლიტ-ბიუროს წევრი): „სავსებით ბუნებრივია, რომ ინგლისის ტრედიუნიონების კონგრესი, რომელიც არის ამსტერდამის ინტერნაციონალის შემადგენელი ნაწილი და რუსეთის პროფკავშირთა ყრილობა, რომელიც ასრულებს ხელმძღვანელ როლს წითელ პროფინტერნში, უნდა შეთანხმებული იყვენ პროფესიონალურ მთლიანობის აღდგენის შესახებ საერთაშორისო კამპანიის საწარმოებლად. ამ ფაქტს აქვს უდიდესი მნიშვნელობა მთელ საერთაშორისო მუშათა მოძრაობისათვის. იგი აიძულებს რეაქციონერებს, როგორც მუშათა ინტერნაციონალის შიგნით, ისე ეროვნულ გაერთიანებებს შიგნით, აშკარათ აღიარონ—მთლიანობა მათთვის უბრალო ფრაზას წარმოადგენს. თუ იგი ავალებს მათ გადასდგან სათანადო ნაბიჯები.

ინგლისისა და რუსეთის პროფკავშირების მჭიდრო თანამშრომლობის დამყარებით იწყება ახალი პერიოდი კოლონიალურ მუშებისათვისაც, რომლებიც სულს ღაფავენ ინგლისის იმპერიალიზმის უღელქვეშ. წითელ პროფინტერნის უდიდეს დამსახურებად დარჩება ის ფაქტი, რომ მან პირველად ააფრიალა საერთაშორისო მუშათა კლასის სოლიდარობის დროშა. ყველა რევოლიუციონერ მუშათა მოვალეობაა—დააჩქარონ ინგლისის და რუსეთის პროფმოძრაობის მიერ დაწყებული მუშაობა და გააერთიანონ მთელი მსოფლიოს მუშათა კლასი ერთიან საერთაშორისო ხელმძღვანელობის ქვეშ“.

გაისი (ჩეხო-სლოვაკიის რევოლიუციონურ პროფკავშირების გენერალური მდივანი). „ევროპის მებრძოლებმა ბევრი რამ უნდა შეისწავლონ რუს ამხანაგებისაგან კაპიტალთან ბრძოლის საქმეში. მე განსაკუთრებით ვაფასებ დადგენილებას პროფმოძრაობის მთლიანობის და ინგლის საბჭოთა კავშირის კომიტეტის შედგენის შესახებ.

მთელი მსოფლიოს მუშებმა იციან ინგლისის პროფმოძრაობის ძალა და გავლენა. თუ ინგლისის კავშირები გადასდგამენ ნაბიჯებს წითელი პროფინტერნის პრინციპების მიხედვით, მაშინ რეფორმისტები სულ სხვა ენით დაგვიწყებენ ლაპარაკს. ჩეხო-სლოვაკიის პროლეტარიატი რუსეთის მუშათა მოძრაობის წარმატებაში ხედავს მთელ მსოფლიოში კაპიტალის დამარცხების ნიშნებს. ვინაიდან საბჭოთა კავშირის რევოლიუციონური გზა, რომელიც შემოწმებული იქნა პრაქტიკულათ, სავსებით გამართლდა“.

დიუდილიე (საფრანგეთის შრომის კონფედერაციის მდივანი). „მე ვფიქრობ, რომ ინგლისის ტრედიუნიონების ოფიციალურ დელეგაციის დასწრება საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა ყრილობაზე და ინგლისის საბჭოთა კავშირის შეთანხმება საშუალებას გვაძლევს იმედით უცქიროთ პროლეტარიატის მსოფლიო მთლიანობის და ერთიან მსოფლიო ორგანიზაციის პერსპექტივებს. შესაძლოა ვიქონიოთ იმედი, რომ საბჭოთა კავშირის პროფკავშირების და ამსტერდამის ინტერნაციონალის მემარცხენე ფრთის ზეგავლენით მოძრაობა მთლიანობისაკენ გაიტაცებს მალე მთელი ქვეყნის მუშებს და მიგვიყვანს მსოფლიო მუშათა კონგრესის მოწვევამდე, რომელიც შექმნის საერთაშორისო ორგანიზაცია ბურჟუაზიასთან საბრძოლველათ. ამას ჩვენ მოუთმენლათ ველით“.

ერთიანი ფრონტის საკითხი

„პრავდა“-ს წერილი

მოსკოვი. 19 ნოემბ. გაზ. „პრავდა“ მეთაურ წერილში ამ სათაურით სწერს: „პროფკავშირების მე-6 ყრილობამ, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, მთავარი ყურადღება მიაქცია იმდენათ არა სპეციფიურ „რუსეთის“ საქმეებს, რამდენათ საერთაშორისო საკითხებს. ის გარემოება, რომ ყრილობას დაესწრო ინგლისის პროფკავშირების ავტორიტეტული დელეგაცია პერსელის მეთაურობით, რომელიც ამსტერდამის ინტერნაციონალის ერთ-ერთ მეთაურათ ითვლება, განსაკუთრებულ მნიშვნელობას და პრაქტიკულ ხასიათს აძლევდა ყრილობის მუშაობას და მის გადაწყვეტილებებს.

როგორც სჩანს, „დეკლარაციების“ დრო გავიდა და ჩვენ შევედით განვითარების ისეთ ფაზაში, როდესაც საერთაშორისო მთლიანობის საკითხი უკვე პრაქტიკულ ნიადაგზეა დასმული.

„მაღალ წრეებში“ მომხდარი გადაჯგუფება გამოხატავს იმ ღრმა პროცესებს, რომლებსაც ადგილი აქვს მუშათა კლასის ფართო მასებში და პირველ რიგში—ინგლისის მუშათა მასებში. მძლავრი ტრედიუნიონები, რომლებიც უკანასკნელ ხანამდი ოპორტიუნისტულ ბელადების გავლენის ქვეშ იმყოფებოდენ, ეხლა თანდათან მარცხნივ იხრებიან.

მაკდონალდის „მუშათა მთავრობამ“ მუშათა მასებს გაუღვიძა მისწრაფება ძალაუფლებისაკენ და მა ნიადაგი გამოაცალა რეფორმისტულ ცრუმორწმუნოებას. ყველა ეს ფაქტები აიძულებენ ბრიტანეთის ტრედიუნიონებს შესცვალონ თავისი ორიენტაციის საჭე.

მე-6 ყრილობაზე მტკიცე საძირკველი ჩაეყარა ინგლის-რუსეთის მუშათა მეგობრობას. ეს არის პირველი ნაბიჯი მუშათა საერთაშორისო მთლიანობისაკენ გადადგმული. ყურადღებით და სიფრთხილით უნდა მოეპყრან ჩვენი პროფკავშირები ამ საკითხს, რადგან ეს არის საკითხი, რომლის გადაჭრისაგან არის დამოკიდებული ევროპის და მთელი მსოფლიოს მუშათა მოძრაობის ბედი. ამიტომ მეექვსე ყრილობა არის მნიშვნელოვანი ეტაპი ამ მოძრაობის გზაზე—ეტაპი, რომელიც გამოხატავს ღირს-შესანიშნავ გადახრას საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში“.

იმპერიალისტების წინააღმდეგ

[illegible]

ნიუ-იორკი. 13 ნოემბ. ჩინეთის საქმეებით დაინტერესებულ წრეების ცნობით ჩინეთის გარეშე საქმეთა მინისტრი ვან-ჩენ-ტი გი არკვევს საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის საკითხს; კონფერენციამ უნდა დაამუშაოს დოუესის გეგმა ჩინეთის მიმართ. ეს კონფერენცია უნდა შეიკრიბოს, თითქოს, ჩინეთის ვალების კონსოლიდაციისათვის ზომების შესამუშავებლად, მაგრამ ნამდვილად მისი მიზანია ჩინეთისათვის ახალი სესხის მიცემის გეგმის შედგენა.

ნიუ-იორკის პრესა სერიოზულად არჩევს ამ საკითხს და იტყობინება, რომ ვაშინგტონის მთავრობის წრეები თანაგრძნობით უცქერიან კონფერენციის მოწვევის გეგმას. „ნიუ-იორკ ტაიმს“ ამის შესახებ აღნიშნავს, რომ დოუესის გეგმა საუკეთესო საშუალებაა, რომლის შემწეობით ამერიკას შეუძლია ჩინელების თავმოყვარეობის შეულახავად ჩაერიოს ჩინეთის ფინანსიურ საქმეებში.



დაან-ჩი-ჟუი
ჩინეთის ახალი პრეზიდენტი

წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლა

საბჭოთა რუსეთის პოლიტგანათლების მუშაკთა მე-2 ყრილობაზე ამხ. ლენინმა სთქვა: „სანამდის ჩვენს ქვეყანაში ასეთი მოვლენაა, როგორიც არის წერა-კითხვის უცოდინარობა, პოლიტიკურ განათლებაზე ლაპარაკი ძლიერ ძნელია. ეს არ არის პოლიტიკური ამოცანა—ეს არის პირობა, ურომლისოთაც პოლიტიკაზე ლაპარაკი არ შეიძლება. წერა-კითხვის უცოდინარი კაცი სდგას პოლიტიკის გარეშე,—იმას ჯერ უნდა ასწავლო ანბანი, უამისოთ არ შეიძლება პოლიტიკა, უამისოთ ის არის მხოლოდ განაგონი, ჭორები, ზღაპრები და არა პოლიტიკა“.

სწორეთ ეს უკვდავი სიტყვები უნდა დაედვას საფუძვლათ წ. კ. უ. სალიკვიდაციო ფრონტზე მუშაობას და დღეს, როდესაც საქართველოში არსდება წ. კ. უცოდინარობასთან მებრძოლი საზოგადოება, რომელმაც თავის გარშემო უნდა მოიკრიბოს მშრომელი მასისაგან შემდგარი ის საბჭოთა საზოგადოება, რომელსაც სოფლის უმეცარ გლეხობაში კულტურის შეტანა სურს და საბჭოთა საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური აყვავება; ეჭვს გარეშეა, რომ ის შრომას არ დაიზარებს ამ საერთო [illegible] საქმისათვის და საზოგადოების კარეთ არ დარჩება.

თუ ყველა გაერთიანებული ძალით ავილაშქრებთ ამ კაცობრიობის ულმობელ მტრის—სიბნელის წინააღმდეგ, მაშინ უეჭველათ შევძლებთ ამ ბოროტების მოსპობას ისე, როგორც შევძელით მონარქიული წესწყობილების დამხობა და ერთხელ და სამუდამოთ მონობის უღლიდან განთავისუფლება.

წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობის საკითხი ძლიერ რთული საკითხია განსაკუთრებით საბჭოთა საქართველოში, სადაც სცხოვრობენ სხვადასხვა ნაციონალური უმცირესობანი.

ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავზე, საბჭოთა საქართველოში არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი არ უნდა დარჩეს. ეს ვადა ძლიერ გვიმოკლდება, სამუშაო კი ძლიერ ბევრი რჩება. ასეთი დაკვრითი ტემპით გასატარებელი საპასუხისმგებლო საქმე მოითხოვს მტკიცე ორგანიზაციულ მუშაობას, რომლის სათავეშიც უნდა იდგეს ისეთი ორგანო, რომელიც შეაკავშირებს ყველა ორგანიზაციებს და საბჭოთა საზოგადოებას ამ საქმის გარშემო.

ასეთი ორგანო არის „წერკუმს“-ის დროებითი ცენტრალური გამგეობა პოლიტგანის მთავარმართველობასთან და მაზრებში ადგილობრივი „წერკუმს“-ის დროებითი გამგეობა სამაზრო პოლიტგანათლებასთან, რომლებიც უკვე შემდგარია ცენტრალური გამგეობის ხელმძღვანელობით. მათ აქვთ თავის დროზე გაგზავნილი [illegible] ბლად. 20—30 ნოემბრამდის გაიმართება კვირეული აგიტ-კამპანია „წერკუმს“-ის მიზნის და ამოცანების გასაშუქებლად და მის ფონდის გასაძლიერებლად. ქალაქებში „წერკუმს“ დაეხმარებიან პროფკავშირები, პარტორგანიზაციები და [illegible] ინტელიგენცია. ამიტომ უჯრედების მოწყობა ქალაქში ისე ძნელი არ არის, როგორც სოფლად. სოფლებში ჩვენი მთავარი იმედები იქაურ ინტელიგენციაზე უნდა დავამყაროთ.

სოფლად დღეს ის ინტელიგენცია აღარ არის, რომელიც იყო რევოლიუციამდე. მაშინ სოფლის ინტელიგენციას შეადგენდენ: მღვდლები, მემამულეები, ბოქაული, მამასახლისი, მისი მწერალი, ვაჭარი და სოფლის მასწავლებელი.

ოქტომბრის რევოლიუციამ თავისი ტალღებით სრულიად მორეცხა მუქთა-ხორა, გლეხის მძარცველი ინტელიგენცია და მათ მაგიერ აღმოცენდა ახალი ინტელიგენცია, თვით მშრომელი მასის წიაღიდან გამოსული, მის ბედ-იღბლის მონაწილე, რევოლიუციით მონაპოვართა მუყაითი და შეურყეველი დარაჯი. ესენი არიან: ახკომკავშირის წევრები, პროფკავშირების, პარტორგანიზაციების და საბჭოთა დაწესებულებების ხელმძღვანელები, სოფლის მასწავლებლები, ექიმები, აგრონომები და კოოპერატორები. ცენტრალური გამგეობა იმედოვნებს, რომ ეს ინტელიგენცია ამოუდგება გვერდით „წერკუმს“-ის ადგილობრივ გამგეობას და შესაფერისათ ჩაატარებიებს როგორც კვირეულს, ისე წერაკითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო ფრონტზე მუშაობას. ისინი გახდებიან პირველი აქტიური წევრები, რომლებიც არა მარტო საწევრო გადასახადით გააძლიერებენ საზოგადოებას, არამედ ცოცხალი სიტყვით და საქმით, აქტიური წევრების შემატებით, სკოლებისათვის საკმაო მსმენელების მოგროვებით, შესაფერი [illegible] მასწავლებლების გამონახვით და [illegible] სასწავლო ნივთების და ლიტერატურის მიწოდებით.

წ. კ. უცოდინარობის მოსპობით ჩვენ ვუმზადებთ ნიადაგს პოლიტიკურ განვითარებას, სასოფლო მეურნეობის წინსვლას, პროფკავშირების, პარტორგანიზაციების და კოოპერაციის გაძლიერებას. ამით ჩვენ კიდევ ერთ გაბედულ ნაბიჯს ვდგამთ წინ კომუნიზმისაკენ.

მაშ, ძირს წერა-კითხვის უცოდინარობა;

გაუმარჯოს განახლებულ საქართველოს გაერთიანებულ ახალ ინტელიგენციას [illegible] უცოდინარობის წინააღმდეგ ბრძოლაში!

„წერკუმს“-ის ცენტრალური
გამგეობა.

კაიოს ამნისტიის გამო

პარიზი. 19 ნოემბ. მემარჯვენე პრესა აღშფოთებულია კაიოს და მალვის ამნისტიის გამო. განსაკუთრებით აღშფოთებულია გაზ. „ფიგარო“, რომელიც აცხადებს, რომ ამნისტია, რომელიც მიენიჭა კაიოს, მალვის და მარტის „არყევს არსებული წესწყობილების საფუძვლებს“, ვინაიდან სათუოდ ხდის სასამართლოს იმ გადაწყვეტილებების სიმტკიცეს, რომლებიც უკვე შევიდენ ძალაში.

პირიქით, გაზეთი „ერ ნუველ“, ჯამს უკეთებს რა მემარცხენე ბლოკის შეხედულებას, აცხადებს, რომ სენატმა მოიშორა ის შავი ლა[illegible], რომელიც ჩირქს სცხებდა საფრანგეთს.

მემარცხენეები კაიოში ხედავენ მომავალ ფინანსთა მინისტრს, რომლის რეფორმატორული ენერგია და ავტორიტეტი უზრუნველყოფენ მთავრობის ბლოკის სიმტკიცეს. ამ წრეების აზრით, კაიოს, ფინანსების გაჯანსაღების შემდეგ შეუძლია დაუბრუნდეს საფრანგეთის საქმეების ხელმძღვანელობას.

ბოროტმოქმედება სპირტის ტრესტში

დადგენილება

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიისა 1924 წ 17 ნოემბრის თარიღით

სპირტის სახელმწიფო ტრესტის ამიერ-კავკასიის რწმუნებულის სამმართველოს რევიზიამ დაამტკიცა:

1. კერძო მექარხნეების და ვაჭრების ფართოდ გამოყენება, მფარველობის და შეღავათების მინიჭება მათთვის სახელმწიფოს ინტერესების საზარალოთ.

2. აშკარა საზარალო ხელშეკრულებების და შეთანხმების დადება კერძო პირებთან და ორგანიზაციებთან და ხელშეკრულებების შესრულების საიმედო გარანტიების უქონლობა მათში.

3. საკუთარი ინიციატივით ისეთი პრეისკურანტების შედგენა, რომლებიც შეეფერებიან მხოლოდ სპირტის სახელმწიფო ტრესტის მსხვილ კლიენტების ინტერესებს და, რომლებიც ხელს უწყობდენ წვრილი მყიდველების გადასვლას მათთან.

4. ფიქტიური შუამავლის შექმნა [illegible] პირის სახით სპირტის სახელმწიფო ტრესტსა და ბითუმათ მოვაჭრე კერძო პირს შორის.

5. კერძო პირებისათვის—კლიენტებისათვის საბრუნავი თანხების მიწოდება.

6. სპირტის სახელმწიფო ტრესტის რწმუნებულის მიერ თავისი უფლებების გადამეტება და ცენტრალური გამგეობის დირექტივების შეუსრულებლობა, რასაც შედეგათ მოჰყვა სახელმწიფოსათვის ზარალის მიყენება.

7. საკმაო მეთვალყურეობის და კონტროლის უქონლობა საწვრიმალო მაღაზიის და ბაქოს საწყობის მოქმედებაზე, რასაც შედეგათ მოჰყვა ზარალის მიყენება სპირტის სახელმწიფო ტრესტისათვის.

8. ბოროტი დაუდევრობა ყურძნის სპირტის გაწმენდის მოწყობის და სპირტის მანუფაქტურაზე გადაცვლის დროს და საერთოდ ფართო დაუდევრობა რწმუნებულის მოქმედებაში.

9. ანგარიშის შედგენის დაუშვებელი ფორმა ბაქოს საწყობში.

10. განგებ ყალბ ცნობების მიწოდება ტერ-ავაკოვის მიერ სპირტის სახელმწიფო ტრესტის ცენტრალურ გამგეობისათვის საქმის ნამდვილ მდგომარეობის შესახებ.

ზემოხსენებულის გამო ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგია ადგენს:

1. პასუხისგებაში მისცეს სპირტის სახელმწიფო ტრესტის რწმუნებული ტერ-ავაკოვი და ბაქოს საწყობის ყოფილი გამგე ბოგატოვი.

2. იღებს რა მხედველობაში იმას, რომ საქმეში არიან ისეთი მომენტები, რომლებიც უდავოთ ამტკიცებენ ტერ-ავაკოვის ბოროტ ოპერაციებში მონაწილეობის მიღებას კერძო ქარხნების: „რექტიფიკაცია“ და „ორიოლ“-ის მეპატრონეების მხრივ—კოლეგია ადგენს პასუხისგებაში მისცეს აღნიშნული ქარხნების მეპატრონეები: ავაკიანი, სოლომონოვი, ი. მ. მელქუმოვი, ა. ნ. მელქუმოვი და ტერ-მარქაროვი.

3. იღებს რა მხედველობაში საერთაშორისო კრედიტის საზოგადოების როლს „რექტიფიკაცია“-სთან და „ორიოლ“-თან დადებულ ხელშეკრულებებში, კოლეგია ადგენს პასუხისგებაში მისცეს საზოგადოების ხელმძღვანელი.

4. წინადადება მიეცეს სპირტის სახელმწიფო ტრესტის ცენტრალურ გამგეობას სისწორით გამოარკვიოს იმ ზარალის რაოდენობა, რომელიც მიაყენა სახელმწიფოს მოქ. ტერ-ავაკოვის და სხვების მოქმედებამ, რომ მათ წინააღმდეგ წარდგენილი იქნეს სამოქალაქო სარჩელი:

ა. კ. ს. ფ. ს. რ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი
ს. ნაზარეთიანი.

სასტიკათ უნდა დაისაჯოს

ტერ-ავაკოვის საქმე სახელმწიფო სპირტის ამიერ-კავკასიის განყოფილებიდან, როგორც იქნა დამთავრდა. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიის მიერ დღეს გამოქვეყნებული დადგენილება.

მოქ. ტერ-ავაკოვი იყო „სახსპირტის“ რწმუნებული, მას მინიჭებული ჰქონდა ფართე უფლებები და აღჭურვილი იყო განსაკუთრებული ნდობით „სახსპირტის“ ცენტრ. გამგეობის მიერ. მისი მთელი წლინახევრის მუშაობა გამოიხატებოდა მხოლოდ საბჭოთა ეკონომიურ პოლიტიკის ჩაშლაში, საშინელ უყაირათობაში, უფლებათა გადაჭარბებაში, ბოროტმოქმედებაში და სხვა.

აი რამდენიმე მაგალითი მისი „მოღვაწეობისა:“

საბჭოთა ეკონომიურ პოლიტიკის ჩაშლის ცდა.

ბაქოში არსებობდა არაყის კერძო ქარხანა, რომელიც ეკუთვნოდა ავაკიანს, მელქუმიანს და სოლომონოვს, სახელწოდებით „რექტიფიკატ“. ეს წარმოება უკვე სულსა ღაფავდა და ამხანაგობასაც ის ის იყო უნდა მოესპო თავიანთი „მოღვაწეობა“, მაგრამ ამ დროს მათ მხსნელად მოევლინათ ტერ-ავაკოვი.

ამ ვაჟბატონმა კარგათ იცოდა საბჭოთა პოლიტიკა კერძო კაპიტალის მიმართ. იგი ანგარების მოსაზრებით გვერდს უხვევს უკვე არსებულ წესებს და ჰქმნის ისეთ კომბინაციებს, რომლებიც ფორმალურის მხრივ სულ წესიერით იქნებიან ცნობილი. ის ამ კერძო წარმოებაში აბამდა შუამავლის სახით საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და ნამდვილათ კი ის გადიქცეოდა შემოსავლისა და გამდიდრების წყაროდ „რექტიფიკაციისა“ და „ორიოლისათვის“.

ტერ-ავაკოვმა შეჰკრა ხელშეკრულება თბილისის საურთიერთო საკრედიტო საზოგადოებასთან, რის ძალითაც ამ საზოგადოებას ეძლეოდა მონოპოლიური უფლება სპირტის ვაჭრობისა აზერბეიჯანში. ეს ხელშეკრულება არსებითად სულ ყალბი იყო. საურთიერთო საკრედ. საზოგადოება აქ მხოლოდ ფიქცია არის. ნამდვილათ კი გასყიდვის მონოპოლიური უფლება იმყოფებოდა კერძო დაწესებულების „რექტიფიკატის“ ხელში. ყველაფერი ეს ხდებოდა კანონიერ ფარგლებში, ხელშეკრულების მეთოთხმეტე მუხლის ძალით. ამ მუხლის მიხედვით, საურთიერთო საზოგადოებას ეძლეოდა ნება თავისი უფლებანი და მოვალეობანი, რომელიც ენიჭებოდა ხელშეკრულების ძალით, გადაეცა სხვა დაწესებულებისათვის და კერძო პირებისთვისაც კი, და ეს წინასწარ განზრახვით ჩამატებული მუხლი უკვე ჩქარა იქნა გამოყენებული: ორი დღის შემდეგ ყველა უფლებები (ე. ი. სპირტის გაყიდვის მონოპოლია) გადადის სავსებით „რექტიფიკაციის“ ხელში.

მაგრამ საურთიერთო საზოგადოებასთან დადებული ხელშეკრულება ისპობა და იგი იდება უშუალოთ „რექტიფიკაციასთან“. ასე გრძელდება დანაშაულობრივი კავშირი „სახსპირტის“ რწმუნებულისა „რექტიფიკაციასთან“.

სწორედ ასეთივე თაღლითობა ჩაიდინა ტერ-ავაკოვმა თბილისშიაც.

მონოპოლია თბილისში სპირტის გაყიდვაზე ეძლევა იმავე საურთიერთო საკრედიტო საზოგადოებას. ხელშეკრულების ძალით ეს საზოგადოება მოვალეა, გარდა იმ სპირტის რეალიზაციისა, რომელიც მხოლოდ „სახსპირტს“ ეკუთვნის, [illegible] შენობა, იყოლიოს შტატი და აძლიოს გადასახადი თავის ანგარიშით.

ყველა ამისათვის საზოგადოებამ მიიღო საერთო ბრუნვის ანარიცხი 12 პროცენტი. მაგრამ ნამდვილად თბილისში სპირტი იყიდებოდა კერძო ფირმის „ორიოლის“ მიერ, მიუხედავათ ხელშეკრულებისა და საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების გარეშე.

აქაც იურიდიულად გადაცემული მონოპოლია საზოგადოებრივ ორგანიზაციაზე ნამდვილად ჩავარდა კერძო წარმოების „ორიოლის“ ხელში, თუმცა საკრედიტო საზოგადოებამ მიიღო თავისი 12 პროცენტი— 3,439 მ. 24 კ. საზოგადოებისაგან გაწეული ხარჯები კი ბევრად ნაკლები იყო. საკრედიტო საზოგადოებასთან ვადის გასვლის შემდეგ, ხელშეკრულება იდება უკვე უშუალოთ ამხანაგობა „ორიოლთან“. გარდა მონოპოლიის მინიჭებისა „ორიოლს“ ეძლევა კიდევ განსაკუთრებული შეღავათი: მას სპირტი ეთმობა პრეისკურანტის ფასებზე დაბლა. 7 კაპეიკის ნაცვლად ეთმობოდა 6,5 კაპეიკათ და 7,5 კაპეიკის ნაცვლად 6,5 კაპეიკათ.

ტერ-ავაკოვი მიმართავდა სხვა საშუალებასაც კერძო კაპიტალისათვის დახმარების გასაწევათ და ეკონომიური პოლიტიკის ჩასაშლელათ. მან შეადგინა მეტათ მოხერხებული პრეისკურანტი, რომელშიაც განსხვავება მაქსიმალურსა და მინიმალურ ფასებს შორის აღწევდა 25 პროც. ამ პრეისკურანტის მოხმარება დამოკიდებული იყო წასაღებ საქონლის რაოდენობაზე. მსხვილ პარტიებს უფარდებდენ მინიმალურ ფასებს, წვრილებს კი—მაქსიმალურს. ამით აიხსნება წვრილი მყიდველების ჩამოშორება სპირტის სახელმწიფო ტრესტისაგან და მათი გადასვლა კერძო ვაჭრებისკენ, სპირტის სახელმწიფო ტრესტის „მონოპოლისტებთან“.

მაგრამ ეს კიდევ არ არის დიდი უბედურება. საქმე იმაშია, რომ პრეისკურანტის ეშმაკური გამოყენება ჰქმნიდა ისეთ მდგომარეობას, რომ ბითუმათ მოვაჭრე კერძო პირები, ყიდულობდენ რა საქონელს წვრილ-წვრილი პარტიობით, იხდიდენ მინიმალურ ფასებს, რომლებიც მიკუთვნებული ჰქონდათ მსხვილ პარტიებს. და აქ ხმარებაში იყო გარეგნულათ კანონიერი და სწორი ფორმა: როგორც კი წარადგენდენ კერძო ვაჭრები მოთხოვნილებას მსხვილ პარტიაზე, მათზე იმ წამსვე ავრცელებდენ მინიმალურ ფასებს, თუმცა ფაქტიურათ ისინი წვრილ-წვრილ პარტიობით ყიდულობდენ საქონელს.

ამრიგათ, ბითუმათ მოვაჭრე კერძო პირები ტერ-ავაკოვის მიერ „გაბედნიერებული“ და ჩაყენებული იყვენ უკეთეს მდგომარეობაში, ვიდრე კოოპერაცია და სახელმწიფო ორგანოები.

უყაირათობა.

ტერ-ავაკოვი, წინააღმდეგ ცენტრის დავალებისა, ხსნის საწყობებს ლენინაკანში და სოხუმში, რომლებიც პირდაპირ ზარალს იძლევიან. ხარჯები სოხუმის საწყობისათვის შეადგენდენ საწყობის მთელი ბრუნვის 75 პროცენტს, ხოლო ლენინაკანის საწყობის შესანახად თითქმის ხუთჯერ აღემატებოდა ოპერაციებს.

იმ მიზნით, რომ აქ მოეწყო ჭაჭის სპირტის წარმოება და გადაეცვალა ის ჭაჭის არაყზე, ის ღებულობს მოსკოვიდან მანუფაქტურას. მაგრამ რადგანაც ტერ-ავაკოვი შეუდგა ამ საქმეს, რომ მას არ ჰქონდა ამისათვის საკმაო მომზადება და არ იცნობდა საქმის ყველა დეტალებს, სპირტის გაწმენდის და მისი მანუფაქტურაზე გადაცვლის ოპერაცია ჩაიფუშა და მანუფაქტურის ნაწილი გადაეცა კერძო პირებს არაყზე გადასაცვლელად, მაგრამ მათ არაყი არ წარმოადგინეს; ერთმა მათგანმა წაღებული მანუფაქტურის ფასიც არ გაასწორა. მანუფაქტურის დანარჩენი დიდი ნაწილი გადაეცა საფეიქრო სინდიკატს ორმაგად შემცირებულ ფასებში.

დამახასიათებელია ის, რომ მიუხედავად მანუფაქტურის გადაცვლის საქმის ჩაშლისა, ტერ-ავაკოვმა შესაძლებლად სცნო განზრახ ყალბი ცნობები მიეწოდებია ცენტრისათვის იმის შესახებ, რომ მანუფაქტურის ნაწილი უკვე გადაცვლილია არაყზეო, რაც ნამდვილად არ ყოფილა.

მიუხედავად იმისა, რომ მას უფლება ჰქონდა კრედიტები მიეცა საექსპორტო ოპერაციებისათვის არა უდიდეს 1 თვისა, ის კრედიტებს იძლეოდა უფრო მეტი ვადით, სამ თვემდე.

ტერ-ავაკოვი კერძო პირის ხელში აგდებს საბაზრო ვაჭრობას თბილისში, არ იჩენს საკმაო მეთვალყურეობას და კონტროლს მასზე, რამაც ზარალი მიაყენა სპირტის სახელმწიფო ტრესტს, ამასთან ერთად დღემდეც ამ კერძო პირის ვალი არ არის გასტუმრებული. სწორედ ასეთივე მდგომარეობა იყო ბაქოშიც.

შემდეგ რევიზიამ აღმოაჩინა ბაქოს საწყობში ანგარიშის ჩაბარების დაუშვებელი ფორმა.

იმ „რექტიფიკაციასთან“ ოფიციალური ხელშეკრულების არსებობის დროს, რომელიც ერთ-ერთი თანამეპატრონე იყო ვიღაც ავაკიანი, ტერ-ავაკოვი იწვევს უკანასკნელს სპირტის სახელმწიფო ტრესტის სავაჭრო აგენტის თანამდებობაზე, მას აძლევს სათანადო მოწმობას, რომლის მიხედვით ავაკიანი ითვლება არა ქარხნის მეპატრონედ, არამედ თითქოს საბჭოთა მოსამსახურეთ.

ამას გარდა ტერ-ავაკოვი სპირტის ტრესტის იურისკონსულტად იწვევს ვიღაც ხონტკაროვს, რომელიც უკვე იყო იურისტკონსულტი „რექტიფიკაციის“ და ეს იმ დროს, როცა სპირტის ტრესტისა და „რექტიფიკაციის“ შორის არსებობს კომერციული ხელშეკრულება.

ტერ-ავაკოვი განზრახ ყალბ ცნობებს აწვდის ცენტრს სამმართველოს საბჭოს მდგომარეობის და ამიერ-კავკასიაში არსებულ პირობების შესახებ. ეს ინფორმაცია ატარებს ბოროტ განზრახვის ხასიათს.

ამ სურათის შესასრულებლად, „გმირის“ მთელი ავლადიდების ყოველმხრივ გამოსააშკარავებლად საჭიროა მივუთითოთ კიდევ ერთ ფაქტზე მისი მუშაობიდან, რომელსაც უფრო კომიკური ხასიათი აქვს.

ტერ-ავაკოვი, როცა ის მოსკოვში იმყოფება, გზავნის მისასალმებელ დეპეშას თავისი სამმართველოს სამართით, რომელშიაც ნათქვამია, რომ ცენტრი სავსებით [illegible] ამიერ-კავკასიის სამმართველოს მუშაობას (იგულისხმება ტერ-ავაკოვის), და რომ მას საჩუქრად ეძლევა ავტომობილი; შემოწმების შემდეგ ყველაფერი ეს აღმოჩნდა ტერ-ავაკოვის მიერ მოგონილი. არავითარ საჩუქარს ადგილი არ ჰქონია, ავტომობილისათვის ცენტრმა მოითხოვა ფული.

ყველაფერი ზემოთ მოყვანილი საკმაოდ ნათელჰყოფს ტერ-ავაკოვის ფიგურას და მის მუშაობას, რომელიც სასარგებლო იყო მხოლოდ კერძო ვაჭრებისთვის და მით ძირს უთხრიდა საბჭოთა ხელისუფლებას.

ეს საქმე ღირსია დიდი საზოგადოებრივი ყურადღების და უნდა ვიფიქროთ, რომ პროლეტარული სასამართლო სათანადო ყურადღებით მოეკიდება მას და გამოიტანს თავის განაჩენს, რომელიც არა თუ ღირსეულად დასჯის ტერ-ავაკოვს და მის კომპანიას, არამედ იქნება გაკვეთილი და გაფრთხილება ყველა იმ ჩვენი მეურნეო დარგის მუშაკებისათვის, რომელთაც დაჟინებით არ სურთ გაატარონ ისეთი გეზი, რომელიც შეეფერება მუშათა და გლეხთა მთავრობის პოლიტიკას.

პარტიული ცხოვრება

გორის სამაზრო პარტიული კონფერენცია

ნოემბრის 9-ში შესდგა ს. კ. პ. გორის სამაზრო პარტიული კონფერენცია. კონფერენციას დასწრენ 48 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 16 დელეგატი სათათბირო ხმის უფლებით.

კონფერენციას დაესწრენ ს. კ. პ. ცეკას წარმომადგენლები, ამხ. ამხ. სერგო ორჯონიკიძე და ივანოვ-კავკასკი.

კონფერენციის პრეზიდიუმის, სამდივნოს და საპატიო თავმჯდომარეების არჩევნების შემდეგ, დამტკიცებულ იქნა დღის წესრიგი:—1. ს. ს. რესპუბლიკების შინაური და საერთაშორისო მდგომარეობა; 2. გორმაზრკომის ანგარიში; 3. მუშაობა უპარტიოთა შორის; 4. სამაზრო კომიტეტის და სარევიზიო კომისიის არჩევნები; 5. მიმდინარე საკითხები.

პირველად კონფერენციამ მოისმინა მოხსენება ამხ. სერგო ორჯონიკიძისა—ს. ს. რ. შინაური და საერთაშორისო მდგომარეობაზე. მომხსენებელი ვრცლად შეეხო საბჭოთა ხელისუფლების მიღწევებს როგორც მრეწველობაში, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ფრონტზე, რამაც გააუმჯობესა მატერიალური მდგომარეობა მუშებისა და გლეხებისა.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო საქართველოში მომხდარ უკანასკნელ ავანტიურას, რომელიც იყო მოწყობილი—თვით ისტორიის მიერ განწირულ კონტრ-რევოლიუციონური პარტიების მიერ—პარიტეტული კომიტეტის თაოსნობით, რომელსაც უშალო დახმარებას უწევდა საერთაშორისო კონტრ-რევოლიუციის შტაბი—მე-2 ინტერნაციონალი. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს მშრომელმა ხალხმა ალღო აუღო შავი ძალების ზრახვებს და სასტიკი პასუხი მოსთხოვა მათ, ვინც განიზრახა მშვიდობიანი ცხოვრების აფორიაქება.

რაც შეეხება საბჭოთა ხელისუფლების საგარეო მდგომარეობას, მომხსენებელი ამბობს, რომ ჩვენი საგარეო მდგომარეობა თანდათან მტკიცდება და ძლიერდება, რასაც მოწმობს დიდი ბურჟუაზიული სახელმწიფოების მიერ საბჭოთა ხელისუფლების ცნობა და მოლაპარაკების გამართვა ეკონომიური ურთიერთობის აღსადგენად.

მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა სათანადო რეზოლიუცია.

მეორე საკითხის შესახებ,— ექვსი თვის საანგარიშო მოხსენება გააკეთა გორმაზრკომის პ. | მ. ამხ. არ. გიორგაძემ, რომელიც დაწვრილებით შეეხო დღემდის წარმოებულ მუშაობას როგორც პარტიულ დარგში, აგრეთვე საბჭოთა, კოოპერატიულ, გლეხთა ურთიერთ დამხმარე და კულტურულ დარგშიაც. ადგილებზე მუშაობის გამოსაცოცხლებლათ, მაზრკომის მიერ იგზავნებოდენ [illegible] მომზადებული მუშაკები, რომლებსაც ეძლეოდათ როგორც წერილობითი, ისე სიტყვიერი დირექტივები.

მოხსენების დამთავრების შემდეგ კამათში მონაწილეობა მიიღეს რამოდენიმე ამხანაგებმა, რომლებიც მოითხოვდენ, რომ მომავალში მეტი ყურადღება მიექცია უპარტიოთა შორის მუშაობის წარმოებას. აგრეთვე მაზრაში არსებულ წარმოების მდგომარეობის გაუმჯობესობას—შრომის ნაყოფიერების აწევით და ხელშემშლელი მიზეზების გადალახვით.

ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ პარტიის წევრებმა კარგათ შეიგნეს პარტიის წინაშე წამოჭრილი ამოცანების ცხოვრებაში გატარების მნიშვნელობა და თვითეული პარტიის წევრი ცდილობს ფართოდ გამოიყენოს საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე მდგომი უპარტიო მშრომელი მასა.

წარმოებიდან მუშაობის შესაფასებლად კონფერენციის მიერ მიღებული იქნა შემდეგი რეზოლიუცია, სადაც აღნიშნულია: „კონფერენცია სცნობს სამაზრო კომიტეტის მუშაობას—საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დამაკმაყოფილებლად“.

შემდეგ გაკეთებული იქნა მოხსენება უპარტიოთა შორის მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა ამხ. ვ. ქურდაძემ ნათლად დაასურათა ის, თუ როგორი მნიშვნელობა აქვს უპარტიოთა შორის მუშაობის წარმოებას, განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც დიდი გარდატეხა არის უპარტიოთა შორის საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოთ.

მოხსენებების დამთავრების შემდეგ, კონფერენციის მიერ მიღებული იქნა პრაქტიკული წინადადებები, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ მომავალში მუშაობის საწარმოებლათ.

დასასრულ მოხდა ახალი სამაზრო კომიტეტის და სარევიზიო არჩევნები. სამაზრკომში არჩეული იქნენ ამხ. ამხ. 1 არჩილ გიორგაძე, 2. ანდრო სიამაიშვილი, 3. ვასო ქურდაძე, 4. ს. ცხოვრებაშვილი 5. ალ. ქებაძე, 6. ლ. გოგოლაძე, 7. ალ. ცებაძე, 8. თ. კორსაველი, 9. ჭყოიძე, 10. ფსიტიძე, 11. მარიამი მამალაშვილი, 12. ლონლაძე, 13. გ. უზნაძე, 14. ვ. ბერიაშვილი, 15. გ. აბრამაშვილი.

კანდიდატებათ: 1. მიხა ბარბაქაძე, 2. ქართველიშვილი, 3. კალანდარიშვილი. 4. გ. დავიდოვი, 5. ვ. გოგია, 6. ღვინჯილია და 7. კოშკაძე.

სარევიზიო კომისიაში—ამხ. ამხ.. 1. მიშა მესროპოვი, 2. დომენტი გოგორიშვილი, 3. გ. კალმახელიძე.

პირველ გაერთიანებულ პლენუმის მიერ გამოყოფილი იქნა მაზრკომის პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ამხ. 1. არჩილ გიორგაძე, 2. ანდრო სიამაიშვილი, 3. ვასო ქურდაძე, 4. სერგო ცხოვრებაშვილი და 5 თედო კორსაველი.

ბადრო ციხისძირელი.

ტყავ-ტრესტის უჯრედი

ტყავ-ტრესტის ფაბრიკა-ქარხნები მოთავსებულია ორთაჭალაში. ვის არ გაუგონია სახელი „ორთაჭალა“, რომელიც წინედ განთქმული იყო თავის გამოუთქმელი სიბნელით. დიახ, ორთაჭალა იყო ბუდე ლიპიან-მუქთა-ხორების, და ძმათ მათთნი, რომლებიც აქ მოფენილ ბაღ-სა მიკიტნებში არღნის „ჭყიპინში“ ბევრს უმანკო ადამიანებს ართმევდნენ თავის უმანკოებას და ხშიროდ წუთი-სოფელსაც ასალმებდნენ.

ამათ ფეხის ხმას ჰყვებოდა [illegible] ერთ ბნელითვე მოსილი ქარხნის მუშა, რომელიც თავისი ნაოფლარის უკანასკნელ გროშსაც ფლანგავდა აქ იმ დროს, როდესაც სახლში ცოლშვილი მშიერი ელოდებოდა.

ვინ იცის, სადამდე მიჰყვებოდა ეს, რომ არ მოესწრო საბჭოთა ხელისუფლებას და ერთი ხელის დაკვრით არ მოესპო სხვებთან ერთად ეს გარყვნილების ბუდე.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ აქ დაარსდა რამდენიმე ამხანაგების მეობით უჯრედი. უჯრედი ამხანაგების ენერგიული მუშაობით წინ წაიწია. დღეს მის რიგებში ირიცხება 50 პარტ. წევრი, 75 ლენინელი და 15 კანდიდატი. უჯრედისავე ირგვლივ თავმოყრილია 90 ახალგაზრდა კომკავშირელები, რომელთაც შეჯგუფებული ჰყავთ 150 პიონერები. ყველანი მუშაობენ ხელი-ხელ ჩაკიდებული უჯრედს ჰყავს გამოყოფილი შრომის, წარმოების, კულტურული, საშეფო, მოპრის, ქიმიის, ოდეუეს და სხვა კომისიები. არსებობს ქართული და რუსული დრამატიული და მომღერალთა წრეები. ახალგაზრდობა დიდის ხალისით მუშაობს. ლენინელების დიდი უმრავლესობა ჩაბმულია სხვადასხვა სამუშაოებში და პირნათლად ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობებს.

ამ ჟამად პასუხის-მგებელ მდივნად უჯრედისა არჩეულია ამხ. ლ. ენუქიძე, რომელიც ჩაბმულია სხვა ამხანაგებთან ერთად საერთო ფერხულში. უჯრედმა დიდი ნაყოფი მოუტანა ამ ბნელ მხარეს. დღეს ორთაჭალა არ წარმოადგენს სიბნელის და გარყვნილების ბუდეს. ეს მდგომარეობა აღიგავა თავიანთ ბატონ-პატრონებთან ერთად. ეხლა ამ მხარეს დასახლებულია პატიოსანი მშრომელი და ამიტომაც არის, რომ მას ამშვენებს ტყავ-ტრესტის ლენინის სახელობის მუშათა კლუბი და წითელი სასადილო. დღეს აქ არღნის ჭყიპინის ნაცვლად გაისმის შეერთებულ მუშების მქუხარე ხმა, ხმა ინტერნაციონალისა, რომელიც მომასწავებელია ახალი ცხოვრების, სოციალიზმის დასაწყისისა.

პარტკორი „ნაპერწკალი“.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

კედლის გაზეთი „წითელი საგარეჯო“

საგარეჯოს ახალგ. ლენინური კომკავშირმა ფრიად მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა: მათ გამოსცეს კედლის გაზეთი „წითელი საგარეჯო“-ს სახელწოდებით. პირველი ნომერი გამოვიდა ოქტომბრის რევოლიუციის შვიდი წლის თავის დღესასწაულის. სხვათა შორის უნდა აღინიშნოს, რომ გაზეთი მეტად შინაარსიანი იყო. ამ გაზეთს ჰყავს თავისი სარედაქციო კოლეგია, რომელიც ენერგიულ მუშაობას აწარმოებს. გაზეთი გამოდის კვირაში ერთხელ. ასეთი მაგალითი მისაბაძია და თანაც წამახალისებელი სხვადასხვა სოფლის, თუ თემის კომკავშირის ორგანიზაციებისათვის.

გ. გარხიაშვილი.

კომკავშირის მკვებავთა უჯრედი

ხსენებული უჯრედი დაარსებულია 1923 წელში. ამჟამად უჯრედი აერთიანებს 29 წევრს და 5 კანდიდატს. უჯრედში დღემდი წევრთა შორის სუფევდა უდისციპლინობა, მაგრამ ამ უკანასკნელ დროს ეს აღმოფხვრილი იქნა ახალ ბიუროსა და ახალი ინსტრუქტორის ენერგიულ მუშაობით. უჯრედის მორიგი კრებები სისტემატიურად იმართება.. უჯრედი უშვებს კედლის გაზეთს „ახალგაზრდა ლენინელის“ სათაურით. უკვე გამოსულია გაზეთის მეხუთე ნომერი. გაზეთი მეტად შინაარსიანია: მასში შუქდება როგორც ბიუროს, ისე უჯრედში გაერთიანებულ ამხანაგების დადებითი და უარყოფითი მხარეები აგრეთვე უნდა აღინიშნოს უჯრედში მასიური ლტოლვა უპარტიო ახალგაზრდობისა, რომლებიც სისტემატიურათ ესწრებიან სხდომებს.

მხოლოდ ამასთანავე ერთად უნდა ითქვას ისიც, რომ უჯრედს არა აქვს საკუთარი ბინა, რაც მეტად აბრკოლებს უჯრედის ნორმალურ მუშაობას.

საჭიროა, რომ რაიკომმა და კომუჯრედმა ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას, რათა დაეხმარონ ბინის შოვნაში.

ა. [illegible]

„ზინოვიევის წერილის“ შესახებ

ლონდონი. 19 ნოემბერი. მაკდონალდი ეწვია გარეშე საქმეთა სამინისტროს, სადაც საუბარი ჰქონდა ახალ მინისტრთან ჩემბერლენთან. გაზეთები ფიქრობენ, რომ ლაპარაკი შეეხებოდა ეგრეთ წოდებულ „ზინოვიევის წერილს“.

ინგლისელების წინააღმდეგ

ლონდონი, 19 ნოემბ. კაიროში ორი ბომბა ესროლეს მეუფე ინგლისის ჯარის მთავარსარდალს. გენერალი დაჭრა მუცელში. თავდამსხმელები მიიმალენ.

ლონდონი, 19 ნოემბ. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ეგვიპტეს არმიის მთავარსარდალი გენერალი ლისტეკი დაჭრილია მუცელში და ხელში. მისი მდგომარეობა მძიმეა. ირკვევა, რომ იმის შემდეგ, რაც გენერალის ავტომობილში ჩაგდებული ბომბა არ გასკდა, თავდამსხმელები გაუდგენ ავტომობილს და განუწყვეტლივ ესროდენ რევოლვერებიდან. შემდეგ ისინი ჩაჯდენ ავტომობილში, რომელიც უცდიდა მათ შესახვევში და გაიქცენ.

ლონდონი, 19 ნოემბ. რეიტერის სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს ზაგლულ-ფაშამ განაცხადა, რომ ეგვიპტის მთავრობა მიიღებს ყველა ზომებს იმ ბოროტმოქმედების აღმოსაჩენად, რომლებიც თავს დაესხენ გენ. ლისტეკს და დასჭრეს ის. ბოროტმოქმედთა აღმოსაჩენად დანიშნულია 100.000 მანეთი.

რეაქცია ავსტრიაში

ვენა. 19 ნოემბ. ავსტრიის პრემიერმა ზეიპელმა მოლაპარაკება გამართა სოლქო მთავრობების მეთაურებთან, რომლებიც იცავენ ფედერატიულ ორიენტაციას (მოითხოვენ სოლქო მთავრობების უფლებათა გაფართოებას); ამის გამო ავსტრიის ცენტრალური მთავრობა გადადგა.

ახალი კაბინეტის შედგენა მიენდო იუსტიციის ყოფილ მინისტრს რატნეკს, რომელიც ერთ დროს მეთაურობდა პროვინციალურ ოპოზიციას ზეიპელის წინააღმდეგ ქრისტიანულ სოციალისტური პარტიის რიგებში. ფინანსთა მინისტრის თანამდებობას ახალ კაბინეტში დაიკავებს შტირიის სოლქო მთავრობის მოადგილე არერი, გლეხთა მონარქისტულ რაზმების ცნობილი ორგანიზატორი.

ავსტრიის მთავრობის რეორგანიზაცია ამტკიცებს ქრისტიანულ სოციალისტურ პარტიის შიგნით უკიდურეს რეაქციონულ აგრარულ ელემენტების გამარჯვებას. ეს ელემენტები მიზნად ისახავდენ სოლქო სახელმწიფოების ავტონომიას.

გერმანიის კომუნისტების პროცესი

გერმანიელ მელითონეთა კონფერენცია.

ბერლინი, 19 ნოემბ. ფიზიკურ და გონებრივ შრომის მუშაკთა კავშირის მელითონეთა სექციამ, რომელიც ემხრობა პროფინტერნს, მოიწვია ლეიპციგში სრულიად გერმანიის მელითონეთა კონფერენცია, რომელმაც მოიწონა სექციის წესდება და საბოლოოდ დაამტკიცა მისი ეხლანდელი დროებითი გამგეობა. პროფინტერნის მე-3 კონგრესის ყველა რეზოლიუციები კონფერენციამ სავსებით მოიწონა. კონფერენცია ჩატარდა გერმანიის ყველა მელითონეთა მთლიანობის აუცილებლობის ლოზუნგის ქვეშ. მიღებული იქნა საპროტესტო რეზოლიუცია გერმანიაში თეთრი ტერორის წინააღმდეგ. რეზოლიუცია მოუწოდებს კავშირის წევრებს არჩევნებში ხმა მისცენ კომუნისტებს.

გაფიცვა გრძელდება.

ბერლინი, 19 ნოემბ. მეტროპოლიტენის (მიწის ქვეშა რკინის გზის) მოსამსახურეთა გაფიცვის გამო. შრომის მინისტრმა მოიწვია მოსამსახურეთა და ადმინისტრაციის წარმომადგენლები მოსალაპარაკებლად.

კომუნისტების პროცესი ფრეიბურგში.

ბერლინი, 19 ნოემბ. კომუნისტების პროცესზე ფრეიბურგში დასრულდა მოწმეთა დაკითხვა ლერახში მომხდარ შეიარაღებულ შეტაკების შესახებ. მოწმენი აღნიშნავდნენ, რომ საქმე ეხებოდა არა აჯანყების გეგმას, რომელიც ვითომდა კომუნისტებმა შეიმუშავეს, არამედ სტიქიურ სახალხო მოძრაობას, რომელიც გამოწვეული იყო მშრომელთა მძიმე მდგომარეობით. მუშების მღელვარება იზრდებოდა იმ პოზიციის გამო, რომელიც დაიჭირეს მწარმოებლებმა; უკანასკნელები არ ასრულებენ შეთანხმებას ხელფასის ოქროს პარიტეტით გამოანგარიშების შესახებ. აჯანყება გამოიწვია აგრეთვე პოლიციის ჩარევამ.

ამხ. ტროცკის ახალი გამოსვლის გამო

პარტიის ისტორიის დამახინჯების წინააღმდეგ

მოსკოვი. 20 ნოემბ. რუსეთის კომპარტიის მოსკოვის კომიტეტის სხდომაზე აქტიურ მუშაკების თანდასწრებით მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„მოვისმინეთ რა ამხ. კამენევის მოხსენება აქტიურ მუშათა კრებაზე და განვიხილეთ რა ტროცკის გამოსვლა წერილით „ოქტომბრის გაკვეთილები“, ჩვენ პარტიულ მოვალეობათ ვსთვლით განვაცხადოთ, რომ ეს გამოსვლა არის ბოლშევიზმის და ოქტომბრის რევოლიუციის ისტორიის უხეშად დამახინჯება. კრებას არ შეუძლია თავისი აღშფოთება არ გამოსთქვას განსაკუთრებით იმის გამო, რომ ტროცკიმ დაამახინჯა ნამდვილი ურთიერთობა ერთის მხრით ლენინსა და მეორე მხრით პარტიისა და ცეკას შორის. ამ დამახინჯებას ტროცკი ცდილობს არა მარტო მით, რომ ამბებს აშუქებს შემცდარი და პარტიის ნამდვილ ისტორიის საწინააღმდეგო ფაქტებით, არამედ აგრეთვე ბოლშევიზმის იდეური შინაარსის დამახინჯებითაც, შეჰყავს რა შეცდომაში პარტია, კომინტერნი და მთელი ქვეყანა ოქტომბრის პერიოდში ლენინის და ცეკას ურთიერთობის საკითხში.

ტროცკის წერილი, რომელიც თავისი იდეური შინაარსით არის ლენინიზმის ტროცკიზმით (რომელიც არის მენშევიზმის ერთ-ერთი სახე) შეცვლის ცდა,—გაგრძელებაა ზამთარში წარმოებული დისკუსიის და ტროცკის მიერ დაწყებული ბრძოლის პარტიის და კომინტერნის ხელმძღვანელ ორგანოების წინააღმდეგ. კრება ამ გამოსვლაში როგორც შინაარსის, ისე ფორმის მიხედვით, ხედავს ტროცკის მიერ მე-13 პარტყრილობისათვის მიცემულ დაპირების დარღვევას, და პარტიის მთლიანობის საძირკვლის შერყევას.

თავისი გამოსვლით ტროცკი პარტიას აყენებს იმ დისკუსიის საფრთხის წინაშე, რომელიც კრებას აბსოლიუტურად არასასურველად და საზიანოდ მიაჩნია ამჟამად. პარტიას არ სურს დისკუსია, მაგრამ, მას, ცხადია, უნდა იმის მიღწევა, რომ ბოლშევიზმის დამახინჯებას სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიოს.

კრება მიმართავს ცეკას თხოვნით განიხილოს ეს საკითხი ცეკას უახლოეს პლენუმზე და მიიღოს გადამჭრელი და ამომწურავი ზომები იმისათვის, რომ პარტიის დროშის ქვეშ არ ხდებოდეს ბოლშევიზმის მთავარი იდეების, პარტიის და რევოლიუციის ისტორიის დამახინჯება, მიიღოს ზომები იმისათვის, რომ პარტიის წევრებს შორის ფართოდ ვრცელდებოდეს სწორი ცნობები ჩვენი პარტიის ისტორიის, ტროცკიზმთან ბრძოლის და ოქტომბრის ნამდვილი ისტორიის შესახებ.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარის ცეკავშირი.

ბათომი. 20 ნოემბერი. აჭარის ცეკავშირმა მოხსნა კოოპერატიული დუქანი ჩაქვში.. ერთი კვირის განმავლობაში კოოპერატივის წევრებათ ჩაეწერა 300 კაცი. დუქანი ჰყიდის ფართალს და შაქარს,

ბათომი. 20 ნოემბერი. მოსკოვში მანდარინების გაგზავნასთან ერთად აჭარის ცეკავშირმა მიიღო ოდესიდან დაკვეთა 200,000 ცალი მანდარინის გაგზავნის შესახებ.

ბათომი. 20 ნოემბერი. აჭარის ცეკავშირი გზავნის მოსკოვში ვაშლების უკანასკნელ პარტიას—10,000 ფუთს.

კომუნისტური ნათლობა.

ბათომი. 20 ნოემბერი. გუშინ პარტიულ კლუბში გაიმართა აჭარელ მუსლიმან—ქალის კომუნისტური ნათლობა. მონათლულს დაარქვეს აჭარინა.

რკინის გზებზე

— ამხ. პოლდეევი განთავისუფლებული იქნა გზათა სახ. კომისარიატის რწმუნებულის თანამდებობიდან, ა | კავკასიის რკ. გზათასამმართველოს თავმჯდომარეობის და ამავე გზის უფროსის თანამდებობებისაგან და გადაირიცხა გზათა სახალხო კომისარიატის განკარგულებაში.

— **ადგილკომის არჩევა:** ამ თვის დამლევს მთავარ-სახელოსნოებში მოხდება ადგილკომის ხელახალი არჩევა.

— **ადგილკომების მუშაობათა** გამოკვლევის შემდეგ თბილისის ხაზზე მოხდება ყველა ადგილკომების ხელ-ახალი არჩევნები.

— **რკინის გზის პროფკავშირის.** უმუშევარი წევრები მიმაგრებული იქნებიან სხვადასხვა ადგილკომებთან მათში პროფმუშაობის საწარმოებლათ.

— **კულტგანყოფილებამ** შეიმუშავა გეგმა კავშირის წევრ ქალებ შორის პროფესიონალურ, კოოპერატიულ და კულტურულ ორგანიზაციების მოწყობის შესახებ.

საბავშვო ლიტერატურა და მისი გავრცელება

დიდი ყურადღება აქვს მიქცეული მომავალ ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს საბჭოთა ხელისუფლების მიერ. ამ მხრივ განათლების კომისარიატი არ იშურებს თავის საშუალებას და ძალებს.

გადატრიალების დღიდან 70-დე საბავშვო წიგნი და ჟურნალია გამოშვებული განათლების კომისარიატთან არსებულ საბავშვო გამომცემლობის მიერ, რომელიც თავისი შინაარსით ბავშვთა შორის უკვდავ ბელადის ილიჩის პრინციპების რეალიზაციას ემსახურება და ფასის მხრივაც ხელმისაწვდომი არიან.

სამწუხაროთ ის ორგანოები, რომელნიც მოვალენი არიან გაავრცელონ ეს ლიტერატურა, გულგრილობას იჩენენ ამ საქმეში.

რამდენი ენერგია, ფული იხარჯება ამ ლიტერატურის გამოცემაში და საქმე შრკოლდება მხოლოდ პერიფერიებში მყოფ სათანადო ორგანოების გულგრილობის გამო.

ქუთაისის, ახალქალაქის, სენაკის, სიღნაღის, გორის, დუშეთის მაზრებში, აფხაზეთში, ოსეთში და აჭარაში არ იწერენ არც ერთს, სხვა მაზრებში იწერენ ძალიან ცოტა რაოდენობით. და ეს მიუხედავათ იმისა, რომ რამდენჯერმე მიუმართავთ მიეწოდებინათ ბავშვებისათვის ეს ლიტერატურა. მოწაფე ბავშვი, მეტადრე სოფლისა, დამშეულია ლიტერატურულათ, თუ შეიძლება ასე ითქვას; მას თავის სასწავლო წიგნის მეტი არა აქვს რა, ის მოწყვეტილია მთლად კულტურულ ცხოვრებას.

აი, ამიტომ ის ორგანო, ის გამგე სკოლისა, თუ მასწავლებელი, რომელიც ბავშვთა აღზრდას უდგას სათავეში, მოვალეა ამ გარემოებას უდიდესი ყურადღება მიაქციოს, მოწაფე ბავშვს მისცეს ის, რაც მის სულიერ მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს, რაც მის გონების ჰორიზონტს გააფართოვებს.

ჟურნალი „ნაკადული“ წელიწადში ღირს 3 მან. 50 კაპ. „წითელი სხივი“—4 მ. 50 კ., „კარმირ წილგრი“-ც ამდენივე, არა გგონია ფასის სიძვირე იყოს დაბრკოლება.

იმ დროს, როდესაც ბავშვთა მოძრაობის საკითხი ფართო ხასიათს იღებს; იმ დროს, როდესაც პიონერთა მოძრაობა ფრთებს შლის და მთელს ჩვენს ახალგაზრდობას უნდა მოედოს,—ამ დროს სკოლაში ზემოთ აღნიშნულ ჟურნალების უქონლობა მართლაც რომ მიუტევებელ ცოდვათ უნდა ჩაითვალოს.

დ. კარბელაშვილი.

სასოფლო მეურნეობა

ოსიაურის სავეტერინარო ლაბორატორია და ღორების ჭირი

მოგეხსენებათ რა საშინელი და თავზარდამცემი მტერი გამოუჩნდა ჩვენს მეღორეობას, რა საშინლად ძირს დასცა და მიწასთან გაასწორა ეს შემოსავლიანი დარგი სოფლის მეურნეობისა. ეს საშინელი სენი გახლავთ ყველასათვის ცნობილი—ღორის ჭირი, რომელიც წლითიწლობით დათარეშობს მაზრაში, ერთის სოფლიდან მეორეში გადადის და მუსრს ავლებს ჩვენს მეღორეობას. ამ ავადმყოფობასთან საბრძოლველად არ არსებობს არავითარი რადიკალური მედიკამენტი, გარდა შრატისა, მეცნიერებამ გამოარკვია, რომ ღორების ჭირთან საბრძოლველად გარდა შრატისა, სხვა არავითარი წამალი ვერ აღწევს მიზანს. ამის გამო მიწად მოქმედების კომისარიატის სავეტერინარო განყოფილებამ დიდის ხნის ფიქრისა და აწონ-დაწონვის შემდეგ დააარსა მთელი ლაბორატორია, როგორც ამ შრატის, აგრეთვე სხვა ავადმყოფობათა და ფრინველების გადამდებ სენებთან საბრძოლველ მასალის დასამზადებლად. აგერ ექვსი თვეა რაც ეს ლაბორატორია დაარსდა. მან უკვე დაამზადა ამ ხნის განმავლობაში 118,750 ასაცრელი დოზა შრატისა, საცდელი აცრა ამ შრატით მოხდა გორის მაზრაში სოფ. აზარმაში, აიცრა 160 ღორი, ლუმბრუმაში 200, კაკალანთ ხევში 220, ახალდაბაში 300, გომნაში 300. ყველა ამ სოფლებში ჭირი საჩქაროდ მოისპო და აცრის შემდეგ მოკვდა მხოლოდ 1 ნახ. პროც. ავადმყოფ ღორებს არ უცრიდნენ, რადგანაც ავადმყოფებზე და უკვე სასიკვდილოდ გამზადებულებზე შრატის დახარჯვა კომისიამ ზედმეტად სცნო.

ამ ცდიდან მხოლოდ ერთი სასიხარულო დასკვნის გამოყვანა შეიძლება, ისა რომ შრატი კარგის ღირსებისაა და საჭიროა მისი ფართედ ხმარება საქართველოს მთელს რესპუბლიკაში და არა მარტო გორის მაზრაში.

ღორების ჭირის გარდა მაზრაში გავრცელებულია ქათმების ჭირი. რომელმაც თითქმის ბოლო მოუღო მთელს შინაურ ფრინველებს. ლაბორატორიამ საცდელად [illegible] ცოტაოდენი შრატი ფრინველების ხოლერისა და სეპტიცემიის წინააღმდეგ და მშვენიერი შედეგი მოჰყვა: შრატით აცრილი ქათამი საცდელად შეაგდეს იმ საქათმეში, სადაც ჭირით ქათმები იღლიტებოდნენ. ორი დღე-ღამე იყო ასეთს ჭირიანს საქათმეში აცრილი ქათამი, მაგრამ მას ჭირი არ გადაედო. ბორჯომის რაიონში სადაც ეს ცდები მოხდა, მცხოვრებლებმა საქმე გაუჭირეს ვეტ-ექიმებს. გინდათ თუ არა ჩქარა შრატი მოიტანეთ და სუყველა ფრინველებს აუცრითო, მაგრამ ლაბორატორია იძულებულია ნივთიერ ხელმოკლეობის გამო უარი უთხრას ხალხს ასეთს მოთხოვნილებებზედ.

ღორების ჭირის გარდა ბევრს ადგილას მძვინვარებს რესპუბლიკაში ღორის მეორე გადამდები სენი—სეპტიცემია, რომელსაც დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, რადგანაც ეს ავადმყოფობა ღორებიდან გადადის შინაურ ფრინველზედაც და მათ ერთი და იგივე წამლობა უნდათ. თვით გორის მაზრაში არსებობს მთელი რაიონები, სადაც ეს ჭირი მძვინვარებს და ერთგვარად სპობს როგორც ღორებს, ისე შინაურ ფრინველს.

მუშაობა სადგურისა სრულიად დამაკმაყოფილებელია და დიდი მიღწევები გვექნებოდა, რომ უსახსრობა ხელს არ უშლიდეს. მიწად-მოქმედების კომისარიატმა რომლის განკარგულებაშიაც სადგური იმყოფება უნდა მიაქციოს სათანადო ყურადღება ამ ლაბორატორიას, მისცეს საშუალება გააფართოვოს თავისი მუშაობა.

შირინაძე.

სასოფლო დაზღვევა

სახელმწიფო დაზღვევის სამმართველომ გამოიტანა დადგენილება ცეცხლისაგან სავალდებულო დაზღვევის შემოღების შესახებ სოფლად და შეიტანა ა | კ გეგმათა სამმართველოში თავისი დასკვნა ამ საკითხზე.

გეგმათა სამმართველომ ამ სავალდებულო დაზღვევის გატარება სოფლად მიზანშეუწონლად სცნო და სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს წინადადება ამ სახით უარყო.

ამასთანავე გეგმათა სამმართველოს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ა | კ კავკასიის სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს შეიმუშავოს ღონისძიებათა გეგმა სოფლად ნებაყოფლობითი დაზღვევის გასატარებლად და წარუდგინოს ეს გეგმა გეგმათა სამმართველოს განსახილველად.

გეგმათა სამმართველოს პრეზიდიუმმა მიიღო სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს წინადადება პირუტყვის ეპიზოოტიისაგან და ვენახების და ყანების სეტყვისაგან დაზღვევის შესახებ ისეთ მაზრებისათვის, სადაც ადგილობრივი გლეხობა სამაზრო საბჭოთა სახით გამოსთქვამს სურვილს სავალდებულო დაზღვევის შემოღების შესახებ

პრეზიდიუმმა უარყო ა | კ. სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს მიერ წარდგენილი დაზღვევის ტარიფები. სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს წინადადება მიეცა შეიმუშავოს ახალი სატარიფო ნორმები შენობათა ცეცხლისაგან დაზარალების, პირუტყვის სიკვდილიანობის და სეტყვის საშიშროების შესახებ მიღებული და შემოწმებული ცნობების მიხედვით ა | კავკასიის ცალკე რაიონებისათვის. შემუშავებული ტარიფები დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს გეგმათა სამმართველოს.

მეცნიერება და ტეხნიკა

ჰაეროპლანების სატყორცნი მანქანა.

შეერთებული შტატების საზღვაო დეპარტამენტმა ამ რამდენიმე ხნის წინათ მოახდინა ახალი საავიაციო კატაპულტის (სატყორცნი) მანქანის გამოცდა. საქმე იმაშია, რომ ამერიკის თითქმის ყველა სამხედრო გემებზე არის ჰაეროპლანები. ჰაეროპლანს გასაფრენათ განსაზღვრული მანძილი ესაჭიროება. გასაფრენი დიდი მოედნების გაკეთება გემებზე შეუძლებელია, ამიტომ სამხედრო სპეციალისტებს დაევალა ისეთი მანქანის გამოგონება, რომელიც ჰაეროპლანს გაიტყორცნიდა.

ახალი კატაპულტა (სატყორცნი მანქანა) დასაწყის მოძრაობას აძლევს ჰაეროპლანს არა შეკუმშული ჰაერის, არამედ თოფის წამლის საშუალებით.

გემზე არის პატარა მოედანი რელსებით, რომელზეც სდგას პატარა ღია რონოდა. „იარაღი“, რომელშიც მოთავსებულია ასაფეთქებელი მასალა, შეერთებულია რონოდასთან. რონოდაზე სდგას ჰაეროპლანი. როცა თოფის წამალი დაიწვება იარაღში, გაზები აწვებიან რონოდასთან შეერთებულ ლურძს, რომელიც მიაქანებს რონოდას 90 ვერსის სისწრაფით საათში.

როცა რელსების ბოლოს მიაღწევს რონოდა მექანიკურად ჩერდება. ჰაეროპლანი, ამუშავებული მოტორით, ავტომატიურად შორდება რონოდას და ინერციით განაგრძობს ფრენას.

ხელოვნური რძე.

რძეში 85 პროცენტამდი წყალი არის. ეს ძლიერ ართულებდა რძის გადატანას, რადგან არ არის ხელსაყრელი ამდენი წყლის გადატანა. ამიტომ დიდი ხანია ცდილობენ დაამზადონ ხელოვნური რძე. ამისათვის რძეს ადუღებდენ, წყალი ორთქლად იქცეოდა, დარჩენილ სქელ ნაწილებს ფხვნილად აქცევდენ. ასეთ ფხვნილს შემდეგ ურევდენ წყალს და იღებდენ ხელოვნურ „რძეს“, რომელიც გემოთი თითქმის არ გავდა ნამდვილს. საქმე იმაშია, რომ კაზეინის (ცილი) და ცხიმის დაშლა წყალში არ მოხერხდა ისე, როგორც ამას აქვს ადგილი წყალში.

უკანასკნელ ხანებში ვოლოგდის სპეციალურ ინსტიტუტში მოახდინეს ცდები ამ საკითხის გადასაჭრელად. ცდებმა დადებითი შედეგები გამოიღეს. წყალში ზოგიერთი სიმჟავეების ჩარევით, მოახერხეს კაზეინის დაშლა ისე, როგორც რძეში.

რადგან კაზეინი დაშლილი სახით ხელს უშლის რძის ბურთულების შეწებებას, ადვილი მოსახერხებელი გახდა ცხიმის დაშლაც ნარევის უბრალო შენჯღრევით. ხსნილში ცხიმის შიმატებამდი, მას უმატებენ შაქარს. ამრიგათ მიღებული სითხე გემოთი სრულიად არ განირჩევა ახალი ნამდვილი რძისაგან. თუ აღმოჩნდება, რომ ეს ხელოვნური რძე ორგანიზმისათვის ისევე სასარგებლოა, როგორც ხელოვნური, მაშინ ინსტიტუტი შეუდგება მის დამზადებას.

ქრონიკა

— **შრომის ორდენით დაჯილდოება.** საქ. ცაკმა დაადგინა დააჯილდოვოს შრომის ორდენით აჭარის ჩაის პლანტაციების გამგე ლაუ ჯანჯაუ ენერგიული მუშაობისათვის.

— **მორწმუნეთა აღრიცხვა.** საქ. ცაკმა მიიღო დებულების პროექტი მორწმუნეთა საზოგადოებების აღრიცხვისა და მათთვის ეკლესიების გახსნის შესახებ.

— **ლენინის სურათების ტარება.** საქ. ცაკმა გააუქმა სავალდებულო დადგენილება ლენინის გულზე სატარებელი სურათების ტარების აკრძალვის შესახებ.

— **ა.-კ. ცაკმა** დაადგინა მუამდგომლობა აღძრას საკავშირო ცაკის წინაშე თბილისში მაჰმადიანთა სკოლის ასაგებად სათანადო თანხის გაღების შესახებ.

— **იმ. სულით ავადმყოფთა სამკურნალოსთან** დაარსდა სულით ავადმყოფთა დამხმარე საზოგადოება.

— **ჯანსახკომმა** დაბა-სოფლებში 70 საექიმო პუნქტისათვის შეიძინა საექიმო ხელსაწყოები.

— **დამზღვევი კასის** დადგენილებით გარდაცვლილ დაზღვეულის ჭირისუფლებს უფასოთ მიეცემათ კუბო და ბალდახინი, ფულად 3 მან.

— **ქ. ალმასკომის განათლების** განყოფილებას განზრახვა აქვს მიმდინარე სასწავლო წელს საგარეჯოში, ერწოს რაიონში და მანგლისში გაიხსნას სამოსწავლო მეტეოროლოგიური სადგურები.

— **ქ. ელსადგურებში** ამჟამად მუშაობს 66 მოტორი, რომლებიც ერთად შეადგენენ 4080 ცხენის ძალას.

— **დასაკლავი საქონელი.** ქალ. სასაკლაოში 20 ნოემბერს სტავროპოლიდან მირეკილი იქნა 200 სული საქონელი, საუკეთესო ჯიშის.

— **შრომის სამაზრო განყოფილებები.** აჭარის სახ. კომისართა საბჭომ დაამტკიცა პროექტი მაზრებში შრომის განყოფილებების დაარსების შესახებ.

— **ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავზე.** აჭარის განათლების კომისარიატმა შეიმუშავა გეგმა ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავისათვის აჭარაში წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობის შესახებ.

— **მანდარინის გაგზავნა.** აჭარის კოოპერატიულმა კავშირმა დღემდე რუსეთში სარეალიზაციოთ გაგზავნა 5 ვაგონი მანდარინა.

— **წყალსადენის მილები.** სახალხო მამულების ტრესტმა კახეთის საცდელ სადგურისათვის შეიძინა 1400 ფუთი წყალსადენი მილები.

— **უმაღ. სამეურნეო საბჭოს** სათბობმა ნაყოფილებამ ოქტომბრის განმავლობაში რკინის გზას მისცა 166 ათასი ფუთი ქვა-ნახშირი.

— **ტყიბულის მაღარო.**— მუშებმა ოქტომბერში ადმინისტრაციასთან დასდეს ახალი ხელშეკრულება, რომლის ძალით შრომის ხელფასი გადიდებულია საშუალოთ ერთი მეათედით.

— **მინის ჭურჭლეულობა.** სახალხო მამულების ტრესტმა არმავირიდან მიიღო ერთი ვაგონი მინის სალვინე ჭურჭლეულობა.

— **დახმარება უმუშევრებს.** უმუშევართა დამზღვევ განყოფილებამ ოქტომბერში უმუშევართ დაზღვეულებზე მშობიარობის და რძის ფულათ გასცა 730 მან.

— **ახალი წიგნები.** იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა ქუთაისში ო. ერმანსკის: „შრომის მეცნიერული ორგანიზაცია და ტეილორის სისტემა“, ფიზიკა კ. კრაევიჩისა, ნაწ. მე-3—ბგერა, სინათლე და მექანიკა.

— **გლეხების კომუნა.** სოფ. სამთავისში (გორის მაზრა) შესდგა გლეხების კომუნა.

— **დახმარება ქვრივებს და ობლებს.** დამზღვევ კასამ ოქტომბერში ქვრივებს და ობლებს დახმარების სახით მისცა 2090 მ.

— **კომუნალური ბანკი.** 1924 წ. 1 იანვრიდან შედარებით კომუნალურ ბანკში ფულის შეტანა გაიზარდა 3-ჯერ, დღეს ბანკში ინახება 805.251 მან. შეტანილი ფული.

— **ტრამვაის შეკეთება.** 1924—25 წ. ხარჯთ-აღრიცხვით თბილისის ტრამვაის შესაკეთებლათ გადადებულია 569.259 მან.

— **წყლის მიწოდება.** უკანასკნელ 10 თვის განმავლობაში წყალსადენმა ქალაქს მიაწოდა 300 მილიონამდე ვედრო წყალი.

— **ხილნალის მუშათა კლუბთან** მუშათა მთ. კოოპერატივმა გახსნა წითელი სასადილო.

შემთხვევები.

— **შარვლის ქურდი.** 19 ნოემბერს, სასახლის ქ. № 5 საბაიო სავაჭროდან (№ 2) შარვლის მოპარვის დროს შეიპყრეს ევუშა ბეჭიაშვილი.

— **ქურდობა.** 18 ნოემბერს გაქურდეს საბჭოთა მამულის № 1 საწყობი. წაღებულია 119 მან. ნივთები.

ამავე დღეს ავლაბრის ქ. № 45 გაქურდეს ხაინდრავას ბინა.

— ამავე დღეს ჩერქეზიშვილის ქ. № 59 თომა ფოცხიშვილს მოჰპარეს რევოლვერი, მაუზერის სისტემის.

— 19 ნოემბერს, ელისაბედის ქ. № 98 გაზნადის ბინის აივანიდან მოიპარეს საბანი და ტანისამოსი, 225 მან.

— **გაძარცვა.** 17 ნოემბ. კახეთის და ნავთლუღის ქუჩების ნავთის საწყობებთან მოქ. ამბახა პინცს დახვდა ოთხი ავაზაკი და წაართვეს 19 მან. ფულად და პალტო.

კინო

„სამი სიცოცხლე“

„სამი სიცოცხლე“ რეკორდია საქართველოს კინო-მრეწველობის მიერ დღევანდლამდის გამოშვებულ სურათებს შორის.

კიდევ მეტი: ეს გამოცდაა მთელი ჩვენი კინო-მრეწველობის, გამოცდა ქართველი მსახიობების, ჩვენი ძალების დაგროვება და გამოყენებაა. აქ ეკრანი არ არის განსახიერება მარტო ოთახის, პეიზაჟების, კოსტიუმების და მოხდენილი გრიმების—მაშასადამე, არ არის მისი დაყვანა კინო-მაშინების მექანიზმამდე. აქ ადამიანის სიცოცხლის მსვლელობამ სძლია კინემატოგრაფიულ ლენტის მოძრაობას.

შეიძლება არ დაეთანხმო რეჟისორ პერესტიანს რომანის ზოგიერთი ადგილების გაგებაში—მაგრამ შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ მან „სამი სიცოცხლით“, გამოიჩინა გემოვნების სიუხვე, დიდი გამოცდილება და ნიჭი. შეიძლება არ დაეთანხმო მას სტილის ზოგიერთი წვრილმანების შერჩევაში (როგორც, მაგალითად მოკლე ჩოხა, რაც მაშინ მიუღებელი იყო), მაგრამ შეუძლებელია უარის ყოფა იმისი, რომ სურათი სტილიურია

აქ არის ყველაფერი, რასაც ჩვენ ვხედავთ ყოველდღე, წვრილმანი, რომელსაც ყურადღებას არც კი ვაქცევთ, სურათი—ორი ტიპი—მდიდარი და გაკოტრებული ვაჭარი, ერთს აწერია: „ჰყიდდა ნაღდ ფულზე“,—მეორეს გაკოტრებულს:—„ჰყიდდა ნისიათ“. ეს სურათი თითქმის ყველა მოვაჭრეს აქვს სახლში; ეს მისი ერთგვარი „სახარებაა“. ან კიდევ—თბილისი, პატარა, მივარდნილი საპარიკმახერო წარწერით: „памвкъ махеръ“.

ეს ხომ მართლადაც უბრალოა, მაგრამ ფაქტია, წვრილმანია, მაგრამ მაინც ფაქტია, რომელიც გამოცდილ რეჟისორის მახვილ თვალს არ გამოპარვია.

საუცხოვო, თვალწარმტაცია პეიზაჟები; არაჩვეულებრივი სძლიერითაა გამოყენებული ჩვენი ქვეყნის უხვი ბუნება; არც კი იცი, რა დაიმახსოვრო: მშვენიერი ზღვა, წყალვარდნილი, მთების კალთა, ელვარდი მინდორი—ყველა ერთად, თუ ცალ-ცალკე. სურათი მდიდარია ყველაფრით.

სურათი პსიქოლოგიური დრამაა, აღსავსე სოციალური და მხატვრული მოტივებით. მას გატაცებული ინტერესით ჰყვება თვალყურს მაყურებელი; ნაწილი გათავება სევდას იწვევს არ უნდა შეჩერება, დასვენება—დეე განაგრძოს მექანიკმა მისი ჩვენება ეს მიტომ, რომ სურათში ჩაქსოვილია ერთად საუცხოვო თამაში რომანის კვანძი, ფერები და არაჩვეულებრივი სიხალისე.

აი თამაშიც:

ცენტრალური ფიგურა—ნატა ვაჩნაძეა. ღიმილი მოხიბლავი, თამაში წარმტაცი, სევდა ნაზი, არც ერთი ზედმეტი ჟესტი, არც პოზა. შეუძლებელია მსახიობ ქალის სიფაქიზის გადმოცემა. მსახიობმა მოგვცა ახალი ტონები, გაშალა თავისი თამაშის მრავალფეროვნობა.

წარბას როლში—ყიფიანი. პირველად ეკრანზე, წარბას ეროტიული. ქარაფშუტა ტიპის განხორციელება. გარეგნობით, თამაშით, მზაკვრული ჟესტებით—შეუდარებელია ამ ტიპისათვის.

ბახვა — თანდათანობითი გამდიდრების პრინციპის განმახორციელებელ ტიპს—მიშა გელოვანს ეხერხება გაჭირვების, უბედურების გადმოცემა. კარგად ჩაატარა სცენა (ესმას ნატა ვაჩნაძის) საფლავზე. თავისი ნიჭი გაშალა წარბას სისხლით დატკობის დროს მისი პირველი გამოსვლა სავსებით გამართლებულია.

შეუდარებელია ბერიშვილი მეერას როლში. ჩარჩი ებრაელის განსახიერება ამაზე უკეთესად შეუძლებელია. სჩანს დიდი ნიჭი.

ვალიდა ჩვენ წარმოდგენილი გვყავს როგორც ისეთი ქალი, რომელიც თავისი გარეგნული საქციელით იპყრობს თბილისის ეგრედ წოდებულ „სვეტსკი მირ“-ს. აქ საჭიროა მეტი მზაკვრობა და მოქნილობა, ვიდრე ამას იჩენს ბოლქვაძის ქალი. მას აქვს ამისათვის ეფექტი, მაგრამ არ აქვს სათანადო მამოძრავებელი ნაპერწკალი.

კარგია მიქაბერიძეც გაქცეულ მთიელის როლში. დანარჩენი ყველანი თავის ადგილზე არიან; უმნიშვნელო როლებიც კი დამუშავებულია.

სურათს აქვს თავისი ნაკლიც: [illegible] „პლიონკის“ ეკონომიკის და ქართული წარწერების საკითხი.

დ. დ—ძე.

ხელოვნება

—ო პ ე რ ა. პარასკევს 21 ნოემბერს პირველად ამ სეზონში მიდის ოპერა „რუსლან და ლიუდმილა“ 4 მოქ. გლინკასი. მონაწილეობენ: პოპოვა, ბოგოლეპოვა, ბაბკინა, დობრჟანსკაია, მოსინ, კულაგინ, შარაშიძე, ისეცკი, ბლაგობრაზოვი. ბალეტი სერგეევის ხელმძღვანელობით. ცეკვავენ ფეოდოროვა და ლეონოვა. დირიჟ. სახ. არტ. ივ. ფალიაშვილი.

—**წარმოდგენა ვ. სარაჯიშვილის ხსოვნის აღსანიშნავად.** შაბათს 22 ნოემბერს, საოპერო თეატრში განსვენებული მსახიობის ვანო სარაჯიშვილის ხსოვნის აღსანიშნავად დაიდგმება „აბესალომ და ეთერი“, სიტყვას ვანო სარაჯიშვილზე იტყვის გრ. რობაქიძე. განსვენებულის ხსოვნის საპატივსაცემოდ აბესალომის პარტია შესრულებული იქნება ვიოლონზე. ვიოლონზე დაუკრავს ე. კაპელნიცკი.

დ რ ა მ ა. დღეს თურქული წარმოდგენა.

აღმოსავლეთის მუსიკის საღამო. კვირას, 23 ნოემბერს რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში გაიმართება აღმოსავლეთის მუსიკის კონცერტი ვარდანიანის ხელმძღვანელობით.

„ქართული წიგნის ისტორია“ პოლიტგანათლების სამმართველობამ პოეტ გიორგი ლეონიძეს მიანდო ქართული სტამბის 300 წლის აღსანიშნავად, შეადგინოს ვრცელი მონოგრაფია შემდეგი სათაურით: „ქართული წიგნის ისტორია“.

—**ქართული სტამბის პირველი და მაარსებელის სახელობის სტამბა.** პოეტ გიორგი ლეონიძემ შეიტანა განცხადება სათანადო უწყებაში. ქართული სტამბის არსებობიდან 300 წლის შესრულების აღსანიშნავად თბილისის ერთ-ერთ სტამბას ეწოდოს ქართული სტამბის პირველ დამაარსებლის ნიკიფორე ირბახის სახელი. (ირბახმა ქართული სტამბა დააარსა რომში 1625 წ.).

კინო-სურათები სოფლად. სახელმწიფო კინო-მრეწველობამ თავის სურათები აჩვენა მაზრებში: „არსენ ჯორჯიაშვილი“, —28 ადგილას, „სურამის ციხე“—29 ადგილას, „მამის მკვლელი“—19 ადგილას, „არსენა ყაჩაღი“—22 ადგილას და „მოძღვარი“—15 ადგილას. სურათებს გლეხები ყველგან აღტაცებით ხვდებოდნენ.

მუშათა ცხოვრება

მოწაფეთა საკითხი მექვაბეთა საამქროში.

ჩვენ პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ იმ საამქროებში, სადაც მიმდინარეობს ნაჭრობით მუშაობა მოწაფეებმა იმ რვა თვის განმავლობაში თითქმის ზოგიერთ ხელოსნებს გადააჭარბეს. იმ შემთხვევაში მათი ხელმძღვანელებიც მადლობის ღირსნი არიან.

სულ სხვა პირობებია მექვაბეთა საამქროში. აქ ყველა სამუშაოები მოითხოვს კოლექტიურათ დამუშავებას. ასე რომ აუცილებლივ უნდა იყვეს ერთი კვალიფიციური ხელოსანი მაინც ერთ ჯგუფში (ჯგუფი 5—6 კაცისაგან შესდგება), ან არა და ყველა შეგირდები უნდა იყვენ გადაყვანილნი სხვა და სხვა ბრიგადებში.

აღარ არის ის ძველი დესპოტიზმი იმ საამქროში, როცა ამ სტრიქონების დამწერს ხშირად თავში გვიფაჩუნებდენ ხოლმე, როცა სიხალისით საქმეს ვეტანებოდი, რომ შემესწავლა რამე.

მაშინ ჩემი უფროსი ხელოსნები შემიტევდენ ხოლმე „შენ ტუზემეცი ხარ და ხელობას ვერ ისწავლი"-ო; ეხლა კი ყველას ვეხვეწებით, რომ შეისწავლონ რამე.

სხვა საამქროებში დღიდან მოწაფეთა ცალკე საბრიგადეროების დაარსებისა თითქმის ყველანი თავიანთ ჯამაგირებს ასწორებენ,—მექვაბეთა საამქროში კი ყოველ თვე 320 მანეთამდის ჯამაგირი სჭირდება მარტო მოწაფეთ, 100 მანეთამდე მათ ხელმძღვანელს და წარმოებისათვის კი ჯერ არაფერი გაკეთებულა.

ჩვენის აზრით უმჯობესი იქნებოდა ეს 17 მოწაფენი გადაგვეყვანა ბრიგადებში და წარმოებას მუდამ თვე 320-ც შეემატებოდა და მოწაფეებიც უფრო კარგად შეეჩვეოდენ ხელობას, ან არა და უნდა დაარსდეს ისეთი ცალკე ბრიგადა ოთხი კვალიფიცური ხელოსნით, რომელიც უხელმძღვანელებს თვითეულ ჯგუფს. სხვა გზა ამ საამქროში მოწაფეთათვის არ არის.

მუშა მექვაბე.

მოგვაშორეთ ეს საზიზღარი კაცი.

(რკ. გზის სამმართველოს და საუბნო კავშირის საყურადღებოდ).

პლეხანოვის კლუბი ბოლო ხანებში მაღალ საფეხურზე სდგას პატიოსანი მუშების დახმარებით და უამრავ მუშებს იზიდავს. მაგრამ გამოჩნდა ერთი უსინდისო მუშა კონდუქტორთა წრიდან, **ვინმე ბახია**, რომელმაც დიდი საზიზღრობა ჩაიდინა ამ ჩვენ ხელოვნების სასახლეში. მაღლა კანდარაზე მჯდომ პატარა ლენინელთა ქალიშვილებზე განიზრახა ცუდი საქმე და შეეხო მათ თავისი საზიზღარი ხელებით, რისი მოწმენი იყვნენ შემდეგი ლენინელები: 1) რატიანიძე, 2) მეკარიშვილი, 3) იმიანოვა და 4) ნატრაძე. პატიოსანო მუშებო, ეგ საზიზღარი მუშა უნდა განიდევნოს თქვენ რიგებიდან.

ლენინელი ვანანოი.

კარუსელის დაღმართზე ბნელა.

(ქალ. აღმასკომის საყურადღებოდ)

როგორც იყო კარუსელის დაღმართი განათდა ერთი ელექტრონის ლამფით (სახლი № 18) ყველაზე უფრო სახიფათო ადგილას, სადაც, სულ ადვილია, ღამე გავლის დროს კისერი მოიტეხოს კაცმა. განათდა, მაგრამ ვაი ამ განათებას, სულ რაღაც ორი-სამი ღამე ენთო და შემდეგ კი აღარ განათებულა, გაჰქრა სინათლე, ვითარცა შარშანდელი თოვლი...

წარსულ თვეში მოქალაქე მალაიანცმაც გაიყვანა ელექტრონი და მოაწყო გასანათებლად სახლის ორივე მხარეს (კარუსელის დაღმართზე და უსახელო ქუჩაზე), მაგრამ განათებით კი დღესაც არ განათებულა. ალახმა უწყის, როდის ინებებს ბატონი მალაიანცი თავის სახლის წინ განათებას!

ვიტანჯებით უსინათლობით, მოგვეშველეთ!

აქაური მუშა.

შრომის კანონების დარღვევის უფლება არავის არა აქვს.

(წერილი ტყიბულიდან)

დ. ტყიბულში არსებობს მუშათა კოოპერატივი, რომელსაც აქვს გახსნილი სასადილოები, როგორც დ. ტყიბულში, ისე ტყიბულის ძველი და ახალ მაღაროებში. აი სწორედ ამ სასადილოებში აქვს ადგილი შრომის კანონების დარღვევას. რვა საათის მაგივრათ თექვსმეტ საათს მუშაობენ ხსენებული სასადილოების ზოგიერთი მუშა-მოსამსახურენი.

ტყიბულის ძველი მაღაროების მუშათა კლუბის ქვეშ არსებობდა რამოდენიმე ხნის წინედ ბუფეტი, რომელიც არამც თუ ბუფეტს არ წააგავდა, არამედ უკეთეს სამიკიტნოს მგონი ვერსად ვერ შეხვდებოდით. ამ „ბუფეტს" ხელმძღვანელობდა ტყიბულის სამთო-მადნო კავშირის გამგეობა, რომლის დროს შრომის კანონები სისტემატიურად ირღვეოდა. თვით კავშირი ამას ყურადღებას არ აქცევდა.

ეხლა ეს სასადილო გადაეცა კოოპერატივს, მაგრამ ისიც ეწევა შრომის ექსპლოატაციას: მუშა-მოსამსახურენი დილის 7 საათიდან საღამოს 11 საათამდე განუწყვეტლივ მუშაობენ და ამავე დროს დასასვენებელი დღეც არ ჰქონდათ. საჭიროა მოვსპოთ ეს უკანონობა.

ინფ. ცეცხლი.

დაგვიცავით ამ ხულიგნებისაგან

(მილიციის უფროსის საყურადღებოდ).

ავლაბრის ქუჩა ეს ძველი ქუჩაა, სადაც ხშირად ქუჩის ბიჭ-ბუჭები იყრიან თავს, ამხ. ნაბახტიანის მიერ მიღებულ ზომებით ცოტახანს მოისვენა ამ ქუჩამ, მიიკეტა ავარების დუქანი (სახლი № 10), მაგრამ დღეს ისევ მოიყარეს ამ ბიჭ-ბუჭებმა თავი. ესენი თუმც მცირე წლოვანი არიან, მაგრამ საქციელით დიდებს აჭარბებენ. მათში არიან ისეთებიც, რომლებმაც არამც თუ ავჭალის მცირე წლოვანთა სასჯელის მომხდელი სახლი გამოიარეს, არამედ ექვსი თვით ციხეებშიც კი მჯდარან. მათი თამაშია ყომარი, უშვერი სიტყვებით გამასპინძლება და სხვა. ვერ გაივლის ვერც ერთი გლეხი, რომ რამე არ ამოაცალონ და არ მოჰპარონ. ნახშირი, ტომრები, ნაყიდი სოფლისთვის სავაჭრო და სხვა ხშირად ეკარგებად გლეხებს. იყო შემთხვევა, რომ უფროს მეეზოვესაც სცემეს.

ამას წინედ წითელ-არმიელს მოჰპარეს ფურგონიდან პროდუქტებით სავსე ტომარა.

16 ნოემბერს გლეხს მოჰპარეს ურმიდან ტომარა ფართლეულობით. გლეხების ტირილს საზღვარი არა ჰქონდა.

ჩხუბი ხომ სულ აქ მუდამ დღეა. პატიოსანი მცხოვრებლები შიშით ხმას ვერ იღებენ.

მიაქციეთ ყველა ამას ყურადღება და ალაგმეთ ეს ხულიგნები.

მუშკორი ნაპერწკალი.

მუშათა ქრონიკა

ჯანმრთელობის კომისარიატში.

— **დახმარება ლენინგრადს.** მოსამსახურეთა საზოგადო კრების დადგენილებით გადაიდვა ერთი დღის ხელფასი ლენინგრადის სასარგებლოდ.

— **ლენინის კუთხე.** სანგანათლების თეატრთან მოეწყო გრანდიოზული „ლენინის კუთხე".

— **პოლიტგანათლების წრე.** მოეწყო პოლიტგანათლების წრე, სადაც მეცადინეობა სწარმოებს რეგულიარულად.

— **გამოუშვით კედლის გაზეთი.** გამოვიდა კედლის გაზეთი „ჯანსახკომელი".

ა. ნ.

იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს

შ ე კ ი თ ხ ვ ა:

ვცხოვრობთ ვაკეზე, ატენის ქუჩის შესახვევში გრიგოლ ლალიშვილის სახლში. სადაც გვიქირავს ერთი პატარა ოთახი სივრცით 35 კვ. არშინიანი. ვცხოვრობთ 3 სტუდენტი, რომლებსაც არავითარი შემოსავალი არა აქვს. ოთახს არა აქვს არც განათება, არც წყალი, რისთვისაც გვიხდება ნახევარი ვერსის მანძილზე წყლისათვის სიარული.

გთხოვთ გვიპასუხოთ შემდეგ კითხვებზე:

1) რამდენი უნდა გადავიხადოთ ბინის ქირა თვეში?

2) თუ არ მიიღო ქირა, სახლის პატრონმა, როგორ მოვიქცეთ?

3) გვაქვს თუ არა უფლება, რომ მეზობელ ეზოდან წყალი ვიხარჯოთ, და თუ შესაძლებელია, რა პირობებში?

სტუდენტი: პარმენ იოსების-ძე ხტურუა.

პ ა ს უ ხ ი:

თანახ. ქალ. საბჭოს დადგენილება № 42-ხა 1923 წ. 8 ნოემბრიდან და ამხ. აღმასკომის გაფართოებული პრეზიდიუმის იმავე დადგენილების განმარტებისა (**იხ. რაბოჩაია პრავდა" № 76 (322) 1924 წ. 4 აპრილიდან**) თითოეულ კვადრატიულ არშინზე თქვენ იხდით **0,2 კაპეიკს**—სულ მთელ ბინისას—**7 კაპეიკ.** თუ კი სახლის პატრონი მას არ მიიღებს დაისწრებით მოწმეები და კანონიერი ბინის ქირა შეიტანეთ ხაზინაში, იუსტიციის კომისარიატის დეპოზიტში; რაც შეეხება მეზობელ ეზოდან წყლით სარგებლობას, ამის შესახებ თქვენ უნდა შეუთანხმდეთ თვითვე მეზობლებს და უნდა გაუხდეთ მათ მონაწილენი წყლის საფასურის გადახდაში, ვინაიდან წყალი იმათაც არ ეძლევათ უფასოთ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პ ა რ ტ ი უ ლ ი

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იტყობინება, რომ 21 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე ქალაქის აღმასკომის დარბაზში მოწვეულია ქალაქის რაიონის უჯრედთა ბიუროების კონფერენცია.

ყველას დასწრება სავალდებულოა.

დღის წესრიგი: 1) საინსტრუქციო მოხსენება მახლობელი 3 თვის მუშაობის შესახებ. ყველა უჯრედებს ევალებათ დანიშნონ (ერთიანი პარტიული დღის მაგიერ) უჯრედთა საგანგებო დღე და მოახდინონ ბიუროს და დელეგატების ხელახალი არჩევნები.

პასუხისმგებელი მდივანი: ს ტ უ რ უ ა.

პარასკევს, 21 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე, ნაძალადევის თეატრთან საკლუბო ოთახში წაკითხულ იქნება ლექცია საკლუბო მუშაობის შესახებ.

სავალდებულოა კლუბის ყველა წევრების და დიასახლისების გამოცხადება.

ლენინის რაიკომის ქალთა განყოფილების გამგე **ბ ი ბ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი.**

განცხადებები

ეკატერინე ევგენის ასული მაყაშვილისა შვილებით: ანნა, მარიამი და მარგარიტათი უსაზღვრო მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მათი ძვირფასი შვილის და დის, ქართულ უნივერსიტეტის მათემატიკურ ფაკულტეტის უკანასკნელი კურსის სტუდენტის

სალომე (ლოლა) ზაქარიას ასული

მაყაშვილი-ს

უდროოთ გარდაცვალებას. გამოსვენება მიხეილის საავადმყოფოდან 21 ნოემბერს ნაშუადღევის 3 საათზე, დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე. 2795 1—1

ევგენი იოსების-ძე ჯანდიერი მეუღლით და დით, ალექსანდრე კონსტანტინესძე მაყაშვილი მეუღლით, შვილით და დით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მათი ძვირფასი ბიძაშვილის, ქართულ უნივერსიტეტის მათემატიკური ფაკულტეტის უკანასკნელი კურსის სტუდენტის

ლოლა მაყაშვილის

უდროოთ გარდაცვალებას. გამოსვენება—მიხეილის საავადმყოფოდან 21 ნოემბერს ნაშუადღევის 3 საათზე. დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე. 2795 1—1

სახელმწ. დრამა

შაბათს, 22 ნოემბერს

„ცხვრის ტყავი"

ნ. 222 4—3

ბიბლიოთეკა

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 21 ნოემბერს

რუსლან და ლიუდმილა

ნ. 260. 1—1

ლენინგრადის სახელმწიფო ელექტრო-მანქანის საამშენებლო

ტრესტი

თბილისი, სოლოლაკის ქ. № 2, ტელეფონი 8—20.

„ელმაშტრესტი"

ყველაფერი ელექტროფიკაციისათვის

სოფლად, ქალაქში რკინის გზებზე, სამრეწველო წარმოებებში.
პროექტები ხარჯთ-აღრიცხვა, მოწყობილია, ტექნიკ ზედამხედველობა.

კ ო ნ ს უ ლ ტ ა ც ი ა

სპეციალურად: გამოკვლევები, პროექტები, ჰიდრო-ელექტრონის სადგურების მოწყობა. ნ. 90 6—4

კვირას; ა. წ. 23 ნოემბერს

ქართულ ცხენოსან ლეგიონის ბინაზედ

ნავთლუღში ნოვოტროიცკის ქუჩა № 42

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ა

საჯარო ვაჭრობა

10 ცხენზე და 14 კვიცზე

ამავე ლეგიონის მიერ, ყოველივე ცნობების მიღება მსურველთ შეუძლიათ ლეგიონის შტაბში

№ 2773. 7—2

ს. ს. რ. პ. გ. მ. ს. პ.

შავი და აზოვის ზღვების სახელმწიფო სანაოსნო სამმართველო

„SOCRAN"

თბილ. კომერციული განყოფილება

თავისუფლების მოედანი, ქარვასლა

10 ნოემბრიდან შემოღებულია საბარგო-სამგზავრო სასწრაფო რეისების საზამთრო ცხრილი **ყირიმ-კავკასიის ხაზზე.**

ბათომიდან გემები გადიან:

ოთხშაბათობით და შაბათობით, დილის 3 საათზე.

ბ ა თ ო მ შ ი მ ო დ ი ა ნ:

სამშაბათობით და პარასკეობით, ნაშუადღევს. „გოსჩაპ"-ის თბილისის კომერციული საგენტო აწარმოებს ტვირთების და საქონლის გადასაზიდ საკომისიო ოპერაციებს შავი და აზოვის ზღვების ყველა ნავთსადგურებში და საბჭოთა კავშირის ყველა პუნქტებში და პირდაპირ რკინისგზით, ზღვით, საფოსტო და სხვა გადასახადების გადაგზავნით. სწარმოებს სამგზავრო ბილეთების გაყიდვა ბათომიდან და ფოთიდან გამავალ გემებზე, საწოლი ადგილების მიცემით.

ნის. № 264. 1—1. საგენტოს გამგე: ვ. შაფათავა.

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დარსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 2095.25—24

წერილები პროვინციიდან

ყაჩაღების თარეში დუშეთის მაზრაში

დუშეთის მაზრის მშრომელ გლეხებს შიშის ზარს სცემენ ყაჩაღები დიანოზა და გურგენა (ეს უკანასკნელი მენშევიკია, მენშევიკების დროის მილიციონერი) მათ არა ერთხელ გაუტირებიათ გლეხ-მეურმეები, რომლებიც ქალაქიდან სოფელში ბრუნდებოდენ—დასცემიან და წაურთმევიათ რაც რომ მათ ებადათ.

ამ უკანასკნელ ხანებში ამ ვაჟ-ბატონებმა ახალი ხელობა გაიჩინეს: თუ სადმე ლამაზ ქალს შენიშნავენ დაეცემიან ღამით თავს და გაიტაცებენ.

12 ნოემბერს, ღამის 10 საათზე, სოფ. ქსოვრისში თავს დაესხენ გლეხ იაგორა საკაშვილს. საკაშვილს ყავდა 14—15 წლის ქალიშვილი. საბრალო მშობლებს ავაზაკებმა უბრძანეს საჩქაროდ ტანთჩაეცვათ მათი ქალისათვის და გაეყოლებიათ მათთვის. მშობლების ხვეწნა-მუდარამ არ გასჭრა. ქალი გაძალიანდა, ყვირილში და ხმაურობაში თავი მოიყარა გლეხობამ. მაშინ ავაზაკებმა ლოგინში ხანჯლით მოჰკლეს ქალი, მამა კი სასიკვდილოთ დასჭრეს.

ამის შემდეგ ავაზაკები გაეშურენ სოფლის თავში მცხოვრებ მასწავლებლის ბინისაკენ. თვით მასწავლებელი სახლში არ იყო. სახლში მათ დახვდათ მასწავლებლის ცოლი თავისი ორი წლის ბავშვით. ავაზაკებმა უბრძანეს მას გაჰყოლოდა მათ. ქალმა ხვეწნა დაუწყო: „პატარა ბავში აბა სად დავტოვო"-ო. მაშინ ყაჩაღმა დიანოზამ განიზრახა ბავშვის მოკვლა, ხანჯალიც მოუქნია, მაგრამ ამხანაგმა შეაჩერა, ამის შემდეგ ავაზაკები არხეინად გაუდგენ გზას. ხალხი ვერ გამოუდგა, რადგან უიარაღო იყო.

ამას წინათ სოფ. დამპალიდან გაუტაცნიათ ქალი, დედა კი, რომელიც ავაზაკებს გაუძალიანდა, მძიმეთ დაუჭრიათ. ასეთი შემთხვევები სხვა კუთხეებშიც მრავალი ყოფილა.

გლეხები თავზარდაცემულნი არიან. შიშით ღამეს სახლში არ ათენებენ, ქალები ზოგმა თბილისში გადაგზავნა, ზოგიც კი ახლო-მახლო სოფლებში არის გახიზნული. გლეხები ისე არიან დაშინებული, რომ მთავრობისათვის მიმართვასაც კი ვერ ჰბედავენ:—გაგვიგებენ ყაჩაღები და სულ ერთიანათ ამოგვხოცავენო.

საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება ყაჩაღების ასალაგმავათ.

ლიკოშა.

ამხ. ს. ორჯონიკიძე სამტრედიაში

16 ნოემბერს, სამტრედიას ეწვია ამხ. სერგო ორჯონიკიძე.

სამტრედიის მთელმა მუშებმა მუშათა კლუბში მოიყარეს თავი, რომ მოესმინათ ამხ. სერგო ორჯონიკიძის მოხსენება.

უბრალო გასაგები ენით გააცნო მან დამსწრეთ ჩვენი საერთაშორისო და საგარეო მდგომარეობა, თუ რა გააკეთა მშრომელთა მთავრობამ ამ ექვსი წლის განმავლობაში. შეეხო ის მენშევიკების ავანტიურას, განმარტა თუ ვინ მოაწყო ის და რა მიზნები ჰქონდათ დასახული. აღნიშნა მან მმართველი პარტიის და ხელისუფლების შეცდომები და აგრეთვე, თუ რა ზომებია მიღებული ამ შეცდომების გასასწორებლად.

მოხსენების შემდეგ მუშები ამბობდენ: რა კარგი იქნება, რომ სოფლებშიც ხშირად იმართებოდეს ასეთი მოხსენებები, ასეთი მარტივი, გასაგები ენით ელაპარაკებოდენ გლეხებს, თორემ იმ მოხსენებების, რომლებსაც სოფლათ უკეთებენ გლეხებს ხშირათ არაფერი გაეგებათო.

მუშა მ. უენია.

ვსპობთ წერა-კითხვის უცოდინარობას

საგარეჯო (გარე კახეთი)

მთელ საგარეჯოს თემის სოფლებში გაიხსნა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები. ამ საქმეში მხურვალე მონაწილეობას იღებს მასწავლებლობა, გლეხობა და პასუხისმგებელი ამხანაგები. სკოლებს დიდძალი გლეხობა მოაწყდა. თითო მასწავლებელს უხდება ორწყებად სწავლება ვინაიდან ჯგუფში 60—70 კაცია.

ზოგ სოფელში ჯგუფი თითქმის ას ოც კაციდან შესდგება. გლეხობა დიდი სურვილით ეწაფება სწავლას. უნდა სამართლიანად აღინიშნოს ის გარემოება, რომ წერა-კითხვის ლიკვიდაცია ჩქარი ნაბიჯით სწარმოებს. სალიკვიდაციო სკოლების გახსნაში და გლეხობაში აგიტაციის გაწევაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ამხ. იერემია დიმტრის ძე გულისაშვილს.

გ. გარსიაშვილი.

ოქონის გლეხკომი

(ცხინვალის მაზრა)

ოქონის თემში დაარსებულია გლეხკომი, რომელიც კარგათ მუშაობს.

მაგრამ სამწუხაროა ის, რომ ადგილობრივი გლეხკომი არ იჩენს არავითარ ინიციატივას განათლების დარგში, გლეხკომი არ იღებს არც ერთ ჟურნალ-გაზეთს, რომ კვირაობით წაუკითხოს გლეხებს. გლეხკომმა უნდა გამოიწეროს ჟურნალ-გაზეთები, გაავრცელოს ისინი გლეხებში.

იმედია გლეხკომი მომავალში გამოასწორებს ამ ნაკლს. ამხანაგებს უნდა ახსოვდეს, რომ გლეხებს ეკონომიურად აღორძინება შეუძლებელია ისე, თუ ის კულტურულად არ ავამაღლეთ.

მუშკორი ი. გაგიევი.

მოგვაშორეთ ქუჩის მიკიტნები

(შორაპნის სამაღმასკომის საყურადღებოდ)

მაზრის ცენტრის გადმოტანას ზესტაფონიდან ჭიათურაში საფუძვლათ ედვა ის, რომ ჭიათურა ეკონომიურათ ძლიერი ქალაქია და მასთან მაზრის ცენტრი მოშორებული იქნებოდა ზესტაფონის სამიკიტნოებს. სამწუხაროთ ჭიათურაში გარდა „პატიოსან" მიკიტნებისა ამ უკანასკნელ ხანებში გამრავლება იწყო ქუჩის მიკიტნებმაც. ეს ვაჟბატონები იმდენათ გათამამებულან, რომ ქალ. ჭიათურის ზედა ხიდის გასავალში, რკინისგზის გადასავლის მახლობლათ ღია ცის ქვეშ ახალ მოდის სამიკიტნო გაუხსნიათ. ეს პატარა ქუჩის სამიკიტნო „ემსახურება" გამვლელ-გამომვლელთ და აშკარათ ხელს უწყობს მთვრალ მოქალაქეთა გამრავლებას. სისუფთავის დაცვაზე და ბაჟების გადახდაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. დღემდე არავითარი ზომები არ არის მიღებული. აღმასკომო, მიიღე სათანადო ზომები, ალაგმე ქუჩიდან ქუჩის მიკიტნები.

ელწერი.

ხიდებსა და გზებს შეკეთება ესაჭიროებათ

სოფ. მუხურა (შორაპნის მაზრა)

სოფ. მუხურა შორაპნის მაზრის განაპირა კუთხეა. გარშემო მთა-გორებით არის შემოზღუდული და ამიტომ ყველა მეზობელ სოფლებს დაშორებულია. ეს სოფელი მეორე სვანეთია საქართველოში უგზოობით და კარჩაკეტილობით. გზები მეტად ვიწრო და გაფუჭებულია. ბოგირები დანგრეულია, ამის გამო წყალდიდობის დროს (რაც ხშირი მოვლენაა უმეტესათ ზამთრობით) ერთი მხარე მეორეს მოწყვეტილია. წყალდიდობის დროს ხშირია უბედური შემთხვევა.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა იზრუნოს ამ სოფლის გზებისა და ბოგირების შეკეთებისათვის.

უნდა შეკეთდეს აგრეთვე ეგრეთწოდებული ბარდნალის გზა, რომელიც ამ სოფლის გასაღებ კარებს წარმოადგენს. ეს სოფ. ამ გზით უერთდება რაიონსა და მაზრას, ამ გზის შეკეთებისათვის საჭიროა ასაფეთქებელი მასალა (ამ გზის სიგრძე დაახლოებით 5—6 ვერსია) რადგან კლდიანი ადგილებია. ამის შესახებ შუამდგომლობა აღძრა საბჭოს თავჯდ. ნ. ჯიხვაშვილმა რაიაღმასკომთან. იმედი გვაქვს რომ რაიაღმასკომი არ დაგვტოვებს უყურადღებოთ და მოგვაწოდებს ასაფეთქებელ მასალას.

ამ სოფელში განზრახულია წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლის გახსნა ამ ახლო მომავალში. დაარსდა აგრეთვე სამკითხველო ადგილობრივი საბჭოს თავჯდ. ამხ. ნესტორ ჯიხვაშვილის თაოსნობით.

ა. ბ—ლი.

პროვინციის ქრონიკა

— **ჭაობების ამოშრობა.** ამ ჟამად გურიაში სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა ჭაობების ამოსაშრობათ. უკვე ამოშრობილია 100 დესეტინაზე მეტი ჭაობიანი ადგილი.

— **აჭარლების ახალშენი.** უკვე დამთავრდა სამოსახლო ადგილების დარიგება აჭარიდან გადმოსახლებულ 40 კომლის შორის. აჭარლები დასახლებულნი იქნებიან ქორის ბუდის რაიონში.

— **წერა-კითხვის უცოდინარობასთან** საბრძოლველათ ამ დღეებში ახალ-სენაკის მაზრაში გაიხსნება 90 სკოლა.

— **ოზურგეთის მაზრაში** გაიხსნა 5 სასოფლო-სამეურნეო წვრილი საკრედიტო ამხანაგობები. თითო ამხანაგობას ძირითად თანხათ აქვს 5,000 მან.

— **ელსადგური.** ახალციხიდან 3 ვერსის დაშორებით სწარმოებს ჰიდრო-ელსადგურის აგება. უკვე აგებულია სადგურებისათვის ერთი დიდი ქვის შენობა ორი ტურბინით.

— **გლეხკომის ფონდის გასაძლიერებლათ.** თიონეთის გლეხკომმა უკვე ჩაიბარა ახლად გარდაცვლილ გლეხის თუშურის. ნაანდერძევი ქონება. თუშურმა რადგან მას არ ყავდა მემკვიდრე, თავის სიცოცხლეშივე მთელი თავის ქონება უანდერძა თიონეთის გლეხკომს.

— **შეშა გლეხებს.** ახალციხის სამაზრო გლეხკომმა გადასწყვიტა დაურიგოს გლეხებს 2,024 საჟენი შეშა.

— **სათესლე.** დუშეთის აღმასკომმა დაადგინა სოფ. გალავნის მცხოვრებთ დაურიგოს სესხათ 500 ფუთი სათესლე.

— **გზების შესაკეთებლათ.** თელავის აღმასკომმა აღძრა შუამდგომლობა ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან 10 პროცენტის ადგილობრივ დატოვების შესახებ, გზების შესაკეთებლათ.

— **ერთიანი სასოფლო-სამეურნეო** გადასახადის ჩატარების შესახებ 15 ნოემბერს სიღნაღში გაიმართა თემ-აღმასკომებისა და რაიმილიციის უფროსების თათბირი.

— **ახალციხის** მაზრის სათემო ერთეულებათ დაყოფის გამო სასოფლო გლეხკომები დაექვემდებარენ სათემო გლეხკომებს.

— **გლეხკომების შუამდგომლობით** ახალციხის აღმასკომმა ულარიბესი გლეხები სრულებით გაანთავისუფლა სასოფლო სამეურნეო გადასახადებისაგან.

სრულიად რუსეთის საფეიქრო

სინდიკატი

საბითუმო საწვრიმალო მაღაზია

სომხური ბაზარი № 6. ტელეფონი № 14—49

იყიდება დიდძალი სხვადასხვა მაუდისა და შალეულის საქონელი

საბითუმო საწყობები მოთავსებულია

სომხურ ბაზარში № 62 ეზოში

ნის. № 263—1—1

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელსადგურის აგების სამუშაოთა

სამმართველო

ამით აცხადებს, რომ მის მიერ ა | წ. 27 ნოემბრისათვის

დანიშნულია ზაჰესის სამუშაოთა ადგილზე გენერატორულ სადგურის ქვეშ და გენერატორულ სადგურის წინ ვიადუკის ქვეშ ქვაბულის ამოთხრის სამუშაოს, რაოდენობით მიწის ამონაღები 1360 კუბ. საჟ. და კლდის ამონაღები 2660 კუბ. საჟ.,

ნარდათ გაცემის შეჯიბრება

ყველა სამუშაოს შესრულების ვადა არის 3 თვე. ამასთან ვიადუკის ქვაბული შესრულებული უნდა იქნეს პირველი თვენახევარში.

შესრულების ვადა უნდა იქნეს უზრუნველყოფილი. აღნიშნული სამუშაოს სრულად აღების მსურველ პირთ შემოაქვთ ამის შესახებ წერილობითი განცხადება საღერბო მარკებით დაწესებულ თეთრა ნიმუშზე („ბლანკი") დახურულ კონვერტში წარწერით: „ზაჰესის სამუშაოთა უფროსს 27 ნოემბრის შეჯიბრებისათვის", რომელ რიცხვსაც დღის 3 საათზე გახსნილი იქნება კონვერტები.

მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ თანახმად საქართველოში ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის ა | წ. 4 | 11 № 30156 მოწერილობით დადასტურებული ზაჰესკომის ა | წ. 31 | 10 თარიღით დადგენილებისა ამ სამუშაოზე დამოკიდებულ ყველა გადასახადებს ღებულობს თავის თავზე ზაჰესკომი, რატომაც შეჯიბრებითი ფასებში გადასახადების ხარჯები გათვალისწინებული არ უნდა იქნეს.

განცხადებას დართული უნდა იქნეს ზაჰესის სალაროში განცხადებულ ჯამიდან 5 პროც. რაოდენობით საწინდარის შეტანის **ქვითარი.**

უძრავი ქონება და სხვა ამ გვარი საწინდრად არ მიიღება. საწინდარის წინასწარ შემოტანისაგან განთავისუფლებული არიან სახელმწიფო ორგანოები და სათანადოთ რეგისტრაციაში გატარებული მუშათა არტელები.

იმ პირთ და დაწესებულებათ, რომელთ სამუშაო არ დარჩებათ, საწინდარი დაუბრუნდებად უკან შეჯიბრების შედეგების გამორკვევისთანავე დაუყოვნებლივ; ხოლო იმ პირთა და დაწესებულებათა, რომელთა სამუშაო გადაეცემათ შეჯიბრებით, საწინდარი დარჩება ზაჰესის სალაროში და გადიდებული იქნება სამუშაოს საერთო ღირებულებიდან 10 პროც.-მდე პირველ მისაღები თანხებიდან, რომელიც დაუბრუნდებათ უკან სამუშაოს სრულიად და პირნათლად შესრულების შემთხვევაში.

სახელმწიფო დაწესებულებათ და მუშათა არტელებს სამუშაოს სრული ღირებულებიდან 10 პროც. რაოდენობით საწინდარის შესაქმნელად პირველ მისაღებ თანხებიდან დაეკავებათ 15 პროც.

პნევმატიური მოწყობილობა, ორთქლმავალი და 30 ცალი ოთხღერძიანი რონოდები მიცემული იქნება ზაჰესის მიერ უფასოდ.

დანარჩენი ჩვეულებრივი მოწყობილობა საამშენებლო სამუშაოებისათვის მიცემული იქნება შეძლებისამებრ.

დაწვრილებით პირობების, ნახაზების, სამუშაოთა რაოდენობის და ტექნიკური პირობების გაცნობა მსურველთ შეუძლიათ ზაჰესის ტექნიკურ განყოფილებაში ოთახი № 14, ყოველდღე დილის 10—12 საათ.

(ქ. ტფილისი, ლადო დუმბაძის ქ. № 3 ყოფილი ველიამინოვის ქ.)

ნ. 265 2—1. სამუშაოთა უფროსი, ინჟენერი ბ. ხიხინაძე.

ე ქ ი მ ი

შ უ ხ მ ა ნ ი

სიფილისის, ვენერიული და კანის ავადმყოფობის

მკურნალობა

მიღება 5—7 საათამდი

ელისაბედის ქ. № 89 ქსენიის ქუჩის პირდაპირ № 2672—25—

ე ქ ი მ ი

ზანდუკელ

განაახლა ავადმყოფების მიღება.

შინაგანი და ნერვიული

სნეულებანი

ელექტრო-სამკურნალო კაბინეტ

მიღება საღამოს 7—8 საათამდი. ლენინის (ოლღას) ქ., 49, ტელ.-8

№ 2797—25—1

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

მოზრდილების და ბავშვების შინაგან და ნერვიული სისტემის სნეულებათა მკურნალობა

ელექტრო-სინათლით ■ ■

■ ■ სამკურნალო კაბინეტი

მიღება: დილით 10—12 საათ. საღამოთი 5—7 საათ.

(გარდა კვირა დღისა) პლეხანოვის პრ. (ყოფ. მიხეილოვის) № 111 ბ. № 2

ქ. № 2531—25—20

ე ქ ი მ ი

გ. გ. მეგრაბიანც

ავადმყოფობა ფილტვების, გულის ტუბერკულიოზის. სპეცმკურნალობა მალერიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი. ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.

მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ზებუთოვის ქ. № 23.

13—4 2746

დაიკარგა პირადობის მოწმობა მიცემული სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ № 842 დიმიტრი ლ საბერიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

დაიკარგა საარჩევნო პირადობის წიგნაკი № 2100 გაცემული გერმოგენ სპირიდონის ძის ბრეგვაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 2791

დაიკარგა პროფ-კავშირის საწევრო წიგნაკი № 951 ალა გ ქუჩოვის. სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 2794

დაიკარგა პასპორტი ქველ დე როვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 2790

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 635 დათიკო გოგინა სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 2789

„ზარია ვოსტოკას" სტამბა, საშა წულუკიძის ქუჩა № 4.